ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 25 სექტემბერი 2002 №181 (1703) | ფასი 50 თეთრი




ლანსი — ბაიერნი 1:1. ჯონ უტაკას თავურმა გერმანელებს ჯგუფიდან გასვლა გაურთულა

REUTERS

# რა თქვა გუშინ მთელმა საქართველომ? უტაკა! და რა გაიფიქრა?

## ნეტავ რუსეთთან ყველა ჩვენიანმა კალაძესავით ითამაშოს

გუშინ კახა კალაძემ ძალიან კარგად ითამაშა. თან იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, სად, ვის წინააღმდეგ და ვის მხარდამხარ ითამაშებ კარგად.

კალაძემ ითამაშა ლა კორუნიაში, „რიასორზე", სადაც კარგად თამაში ყველა ჩასულს უჭირს. ითამაშა „დეპორტივოს" წინააღმდეგ, რომელიც ევროპაში ფრიად ანგარიშგასაწევი გუნდია. ითამაშა რივალდოს, ნესტასა და სხვა ვარსკვლავთა გვერდით და ითამაშა ისე, როგორც რივალდომ, ნესტამ და იმ სხვა ვარსკვლავებმა. უფრო მნიშვნელოვანი მაინც სხვა რამაა — კახა კალაძემ ერთ კონკრეტულ მატჩში კი არ ითამაშა კარგად, უკვე რახანია, თამაშობს, ხოლო სტაბილურად კარგად თამაში ვარსკვლავობის ნიშანია. ევროპაში უფრო დაბალი კლასის ფეხბურთელებს უწოდებენ ვარსკვლავებს.

მერე კახა კალაძეს იწვევენ საქართველოს ნაკრებში, სადაც ის არავარსკვლავურ ფეხბურთს თამაშობს, უფრო სწორად კი, ვარსკვლავურს ვერ თამაშობს.

ამ ხასიათის წამხდენ თემაზე ანუ საქართველოს ნაკრებზე სიტყვას ახლა ნუ გავაგრძელებთ — კიდევ არაერთხელ მოგვიწევს, ბოლოს და ბოლოს, 12 ოქტომბერი ახლოვდება და ჩემპიონთა ლიგას მივუბრუნდეთ, სადაც სასეირო ამბები დატრიალდა.

კალაძის ქება სრულად ეხება მის „მილანსაც". ვინძლო, „დეპორტივოს" ოთხბურთიანი სხვაობით დამარცხება, პირწმინდად განადგურება, ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო. ესპანელებმა ველარ ითამაშეს ის ფეხბურთი, რითაც „ბაიერნი" დაამარცხეს, ჰეთ თრიქი კი თავად მიიღეს ფილიპო ინძაგისგან.

„ბაიერნი" ვერა და ვერ გაიმართა წელში, ლანსელმა ჯონ უტაკამ ისეთი უთავაზა, ქულასლა გამორჩა. არადა, კალენდარი ისეთია, მიუნხენელთათვის შედარებით იოლი მატჩები სწორედ პირველი ორი იყო.

გერმანული ფეხბურთის შავი დღე „ლევერკუზენმა" გააგრძელა, შინ დამარცხდა „მანჩესტერთან" და ლიგის შარშანდელი ფინალისტი, ალბათ, ჯგუფში ჩასარჩენადაა განწირული.

გერმანულმა გუნდებმა აქამდე გამართული ხუთი სალიგო მატჩიდან ერთიც ვერ მოიგეს.

შავად აქვს საქმე „ნიუკასლსაც", კიევურ მარცხს საშინაოც, „ფეიენოორდთან" რომ მიაყოლა. კიეველებმა კი ერთი კვირის წინანდელი სიხარული ტურინში გაშვებული ხუთი გოლით გაიქარვეს.

სტამბოლში მეასე ბარსელონური გოლი გაიტანა ლუის ენრიკემ, მაგრამ გუშინდელი სალიგო დღე ეგებ ჰაიფელი აიეგბენისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ინძაგისამებრ სამი გოლით რომ გაუმასპინძლდა „ოლიმპიაკოსს".



გუშინდელი ჰეთ თრიქი და ფილიპო ინძაგის 5 სალიგო გოლი დაუგროვდა

REUTERS

30 სექტემბრიდან
ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შემდგომში სამშაბათობითაც
მოიკითხეთ «კროსკო»
გაზეთი პროფესიონალებისთვის
ანგარიშები, კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები
ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. II ტური

CHAMPIONS LEAGUE

### E ჯგუფი

**იუვენტუსი 5:0 დინამო**

1:0 დი ვაიო (14), 2:0 დელ პიერო (22), 3:0 დი ვაიო (52), 4:0 დავიდსი (67), 5:0 ნედვედი (79)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო (ბაიოკო 76), მორეტი, კამორანეზი, დავიდსი, ტაკინარდი (ტუდორი 68), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ტრეზეგე 72)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
დინამო: რევა, ხაცკევიჩი (შელაშჩენკო 71), ნესმაჩნი, საბლიჩი, ლეკო, ჩერნატი, პეევი, გუსინი, გავრანჩიჩი, გიოანე, შაცკიხი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
35 000 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:1 ფეიენოორდი**

0:1 პარდო (4)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ე. ობრაიენი, დაბიზასი, ჰიუზი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი (ლუა ლუა 77)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ფეიენოორდი: ზუტებიერი, ემერტონი, ვან ვონდერენი, პაუვე, რზასა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო (ლურლინგი 82), ვან ჰოიდონკი, ბუფელი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვაიკი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
40 540 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### F ჯგუფი

**ლევერკუზენი 1:2 მანჩესტერი**

0:1, 0:2 ვან ნისტელროი (31, 44), 1:2 ბერბატოვი (62)
ლევერკუზენი: იურიჩი, ფლაკენტე, ლუსიო, რამელოვი, ოჯიგვე (სიმაკი 64), ბალიჩი (ფრანკა 81), ბაბიჩი, შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი (ბერბატოვი 23), ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
მანჩესტერი: ბართეზი, ოშე (გ. ნევილი 46), ბლანი, ფერდინანდი, სილვესტრი, ბეკჰემი, ფ. ნევილი, ბატი, ვერონი (სოლსკიაერი 87), გიგზი, ვან ნისტელროი (ფორლანი 46)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: იან ვეგერიფი (ჰოლანდია)
22 500 მაყურებელი

**მაკაბი 3:0 ოლიმპიაკოსი**

1:0, 2:0, 3:0 აიეგბენი (27პ, 60, 85)
მაკაბი: ავატი, ზუტაუტასი, ხარაზი (იანო 52), ბენადო, ბადირი, კეისი, აიეგბენი, როსო, ეჯოფორი, კატანი (ზანდბერგი 78), პრალია (ისრაილევიჩი 86)
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, პაცაცოღლუ, ვენეტიდისი, იანაკოპულოსი (ოფორი-კუაიე 79), კარამბუე, ჯოვანი, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ანცასი, ზეტერბერგი (ნინიადისი 71), ანატოლაკისი (ალექსანდრისი 55)
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| მაკაბი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

### G ჯგუფი

**დეპორტივო 0:4 მილანი**

0:1 ზეედორფი (17), 0:2, 0:3, 0:4 ინძაგი (33, 56, 62)
დეპორტივო: ხუანმი, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, ვიქტორი, მაურო სილვა (დონატო 79), აკუნია (დუშერი 63), სერხიო, ფრანი (ტრისტანი 63), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 64), ზეედორფი, რუი კოშტა (დალა ბონა 84), ინძაგი (ტომასონი 80), რივალდო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
32 000 მაყურებელი

**ლანსი 1:1 ბაიერნი**

0:1 ლინკე (23), 1:1 უტაკა (76)
ლანსი: ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, რ. სონგი, ბაკა, რულე, კეიტა, ბლანშარი (ბაკარი 68), პ. ბ. დიოპი, უტაკა, მორეირა, სიბიერსკი
მწვრთნელი: ჟოელ მიულერი
ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, რ. კოვაჩი, ლინკე, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემიესი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი (ციკლერი 74), პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: ლუსილიუ კორტეზ ბატისტა (პორტუგალია)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### H ჯგუფი

**ბრიუგე 0:0 ლოკომოტივი**

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, ვან დერ ჰეიდენი, ვერჰეიენი, ენგლებერტი, სერებრიაკოვი, მენდოსა (სტოიკა 46), ლანგე, ბ. მარტენსი, შპილარი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
ლოკომოტივი: ს. ი. ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკგეტო, იგნაშევიჩი, მამინოვი (ობრადოვიჩი 46), ლოსკოვი, ხულიო სეზარი (ობიორა 73), ბუზნიკინი (სირხაევი 46), ევსეევი, სენიკოვი, პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
გაძევება: ლოსკოვი (84)
მსაჯი: პაულუ გომეშ კოშტა (პორტუგალია)
25 000 მაყურებელი

**გალათასარაი 0:2 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (27), 0:2 ლუის ენრიკე (59)
გალათასარაი: მონდრაგონი, ბულენთი, უნსალი, ალმეიგერი, დავალა უმითი, ბატისტა, ერგუნი (უმით კარანი 81), ფელიპე, ა. ბ. სარი (ჰ. შაში 46), არიფი, კრისტიანი (სუატი 70)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ხავი (გაბრი 75), კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე, კლუივერტი (ხერარდი 90), სავიოლა (ჯოვანი 83)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

ქიკერსი 1:3 უნტერჰახინგი

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბრედფორდი 1:1 ქოვენთრი
ვულვერჰემპტონი 4:0 პრესტონი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

პლიმუთი 2:2 კარდიფი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი**

დარლინგტონი 0:1 რიძსიბი

**ლიგის თასი. II ეტაპი**

იფსვიჩი 3:1 ბრაიტონი

## შოტლანდია

**ლიგის თასი. II ეტაპი**

- ინვერნესი 3:1 სენტ მირენი
- როს ქაუნთი 3:0 ჰამილტონი
- სტრანრარი 1:3დდ. (მ) სენტ ჯონსტონი
- ალოა 0:2 ჰიბერნიანი
- აირი 0:2 ფოლკირკი
- ბერვიკი 0:3 პარტიკი
- ქოუდენბითი 1:2დდ. (მ) დანფერმლაინი
- დანდი იუნ. 4:1 ქუინზ პარკი
- ისტ ფაიფი 0:2 მოზერველი
- კილმარნოკი 0:0 (პენ. 3:4) აირდრი

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა გადადებული მატჩი**

მეტალურგი (დ) 1:1 მეტალურგი (ზ)

## პორტუგალია

**პირველი ლიგა. IV ტური**

ბოავიშტა 1:0 სანტა კლარა



იუვენტუსი — დინამო. ვიტალი რევას ტურინელებმა ხელები ხუთჯერ ააწევინეს

REUTERS ტურინიდან



დეპორტივო — მილანი. მასპინძელთა რბევა კლარენს ზეედორფმა დაიწყო

REUTERS ლა კორუნიიდან



ნიუკასლი — ფეიენოორდი. კიევიდან გაყოლილი თავის ტკივილი ალან შირერს არ დაუამდა

REUTERS ნიუკასლიდან



ლევერკუზენი — მანჩესტერი. ნიკი ბატმა გერმანიიდან სამი ქულა და ყვითელი ბარათი წაიღო

REUTERS ლევერკუზენიდან

# ჩემპიონთა ლიგა II ტური

## A ჯგუფი

### დორტმუნდი — ოსერი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ლემანი, ევანილსონი, მეცელდერი, ვიორნსი, დედე, ფრინგსი, როიტერი, კელი, ევერტონი, რეინა, კოლერი | ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ჟორე, ფეი, ლაშური, ტაინიო, ფადიგა, მვარუვარი, კაპო |

### პსვ ეინდჰოვენი — არსენალი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვატერეუსი (ან რუველაარი), ბოგელუნდი, ოიერი, ჰოფლანდი, ჰაინცე, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, ბუმა, კეჟმანი, ბრუგინკი | სიმენი, ლურენი, კეოუნი, კემბელი, კოული, ვიეირა, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი, ანრი, ბერგკამპი |

# ვინ დაიჭერს?
## გუსი ფიქრობს, გი იქადნება

პირველ ტურში „პაიბერიზე" დამარცხებულ დორტმუნდელთა ბანაკში სასიამოვნო ამბავია. შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი ბრაზილიელი მარსიო ამოროზო გამოჯანმრთელდა და შესაძლოა, ფრანგულ „ოსერთან" ითამაშოს კიდეც. ამოროზომ ვარჯიში უკვე დაიწყო. მთავარი ფორვარდის ფეხზე დადგომით „დორტმუნდის" თავკაცი მათიას ზამერიც ერთობ გახარებულია. გერმანელებს ხომ „არსენალთან" მატჩში მეტოქისთვის ხეირიანად არც შეუტევიათ. ისევ საეჭვოა ჩეხი პლეიმეიკერის ტომაშ როსიცკის თამაში. მას ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია.

„დორტმუნდი" უხასიათობას ისედაც არ უჩივის. ბუნდესლიგის ბოლო ტურში სტუმრად „ჰანზა" 1:0 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორა. ახლა მასპინძლები „ოსერის" დაჩოქებას აპირებენ. სხვაგვარად მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ხომ იოტისოდენა გახდება.

საბრძოლველად ირაზმებიან ფრანგებიც. „ოსერის" მწვრთნელი გი რუ წამყვანი ფეხბურთელის, ჯიბრილ სისეს ტრავმას მისტირის, სისემ წინა ტურში ჰოლანდიურ პსვ-თანაც ვერ ითამაშა. სამაგიეროდ, ჯანზე არიან ხალილუ ფადიგა და ბენჟამინ მვარუვარი.

გი რუ „დორტმუნდთან" დაცვაში ჩაჯდომას სულაც არ აპირებს და მეტოქეს სამი თავდამსხმელით ემუქრება. ფადიგა, მვარუვარი და კაპო გერმანელებს დიდ საფრთხეს შეუქმნიან, ეიმედება მხცოვან სპეციალისტს.

ახლა ეინდჰოვენში გადავინაცვლოთ. „რთული თამაში გველის. კარგია, რომ რონალდ ვატერეუსი გამოჯანმრთელდა, თუმც ვის ჩავაყენებ კარში, ამას მატჩის წინ გადავწყვეტ" — განაცხადა პსვ-ს თავკაცმა გუს ჰიდინკმა.



მარსიო ამოროზო ფეხზე წამოდგა

ეინდჰოვენელთა მეკარე ვატერეუსი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ ჰიდინკსაც არ გაემტყუნება — სათადარიგო რუველაარმა ხომ „ოსერთან" ბრწყინვალედ ითამაშა და კარიც მშრალად შეინახა.

ფეხს იტკივებს დანიელი კასპერ ბოგელუნდი, თუმც ჰოლანდიური კლუბის ექიმთა თქმით, ის თამაშს შეძლებს.

საბრძოლო შემადგენლობით ეწვია ეინდჰოვენს ლონდონის „არსენალიც". პირველ ტურში „დორტმუნდის" ბეჭებზე გაკვრით გულმოცემული ინგლისელები დამარცხებას არც ამჯერად აპირებენ.

არსენ ვენგერის ბედად, ტრავმა არავის აწუხებს. ფრანგი სპეციალისტის მთავარი იმედი ჰოლანდიელი დენის ბერხკამპია, რომელმაც თანამემამულეთა ავანჩავანი კარგად უწყის. ასევე ჯანზე არიან შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგი და ფრანგი ტიერი ანრი.

**ქახა შალამბერიძე**

## B ჯგუფი

### სპარტაკი — ვალენსია

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ჩერჩესოვი, კოვტუნი, კებე ჩუისი, მიტრეიკა, მოიზესი, ხლესტოვი, ბარანოვი, კუდრიაშოვი, კალინიჩენკო, ბესჩასტნიხი | კანისარესი, კურრო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, აიმარი, კარეუ |

### ლივერპული — ბაზელი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| დუდეკი, რიისე, ანშო, ჰიუპია, კარაგერი, მერფი, ჯერარდი, შეირუ, ჰესკი, ოუენი, ბაროში | ცუბერბიულერი, ჰაასი, კუენოსი, დეგენი, ბარბერისი, სფორზა, კანტალუპი, ატუბა, ქაპოზიტო, ხიმენესი, როსი |

# ექსკურსია გადაიდო

ესპანეთის ჩემპიონი მოსკოვს 19 ფეხბურთელით ეწვია. მან დარჩნენ ჯუკიჩი, ფაბიო აურელიო, ნავარო და კილი გონსალესი, რომელმაც გასულ კვირას მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო.

„ვალენსიამ" კვირას მეტად დრამატული მატჩი გამართა მალაგაში. გუნდი 0:2-ს აგებდა და მხოლოდ მისაჯის მიერ წამატებულ მეექვსე წუთზე მოახერხა გათანაბრება. მერე დაღლილ-დაქანცულები ვალენსიაში დაბრუნდნენ, თავის მოფხანვის დროც არ დარჩათ, მოსკოვში გაფრინდნენ. ამიტომ ექსკურსია რუსეთის დედაქალაქში არ შედგა, რომელიც ადრე თურმე დაგეგმილი ყოფილა.

გუშინ საავადმყოფოდან გაწერეს ოლეგ რომანცევი. მან დღე გუნდთან ერთად ტარასოვკაში, ბაზაზე გაატარა. „სპარტაკი" კვლავაც ტიტოვისა და პარფიონოვის გარეშე ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „სახალხო გუნდს" ზედიზედ ხუთი მოუგებელი მატჩი დაუგროვდა.

ვერარ ულიეს ყველაზე მეტად ოუენის ამბავი აღელვებს, ბიჭი ძველებურად ვეღარ ბრწყინავს და გოლების გატანას უკლო. მიუხედავად ამისა, ულიე მას მაინც ენდობა და ალბათ სასტარტო შემადგენლობაში გამწესებს.

„ლივერპულს" ვლადიმირ შმიცერი ტრავმის გამო არ ეყოლება, ხოლო დიტმარ ჰამანი ვალენსიაში მიღებული წითელი ბარათის „წყალობით" დაისვენებს.

ჰამანის არყოფნაში ფრანგი მწვრთნელი ემილ ჰესკის დაწევას აპირებს სიღრმეში, ხოლო ოუენს ყმაწვილი ჩეხი მილან ბაროში დაეხმარება, რომელსაც საგოლე ალღო არ დაეწუნება.

„ბაზელის" თავკაც კრისტიან გროსის პრობლემებს თვლა არ აქვს. ექვსი ფეხბურთელი ფეხს იტკივებს, მათ შორის, ძირითადი თერთმეტეულის ორი მოთამაშე, ძმები მურატ და ჰაკან იაკინები. ისინი ბოლო ტურში „ქსამაქსთანაც" ისვენებდნენ. ითამაშებენ თუ არა ისინი დღეს, ექიმების გადასაწყვეტია.

სამაგიეროდ, საგოლედ არიან დაგეშილები კრისტიან ხიმენესი და ხულიო ერნან როსი, რომლებმაც „სპარტაკთან" გამოიჩინეს თავი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## D ჯგუფი

### ლიონი — რუსენბორგი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე, ლაგილი, დორასო, ჟუნინიო, დელმოტი, ს. ანდერსონი, ვერელი | არასონი, სტენსაასი, ბასმა, ჰოფტუნი, საარინენი, სკიმელსრუდი, ოლსენი, ბერგი, ბრატბაკი, ფ. იონსენი, კარადასი |

### ინტერი — აიაქსი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, კორდობა, კოკო, ემრე ბელოზოღლუ, დი ბიაჯო, დალმა, რეკობა, ვიერი, კრესპო | სტეკელენბურგი, ტრაბელსი, იაკუბუ, კოუ, ვან დამი, გალაშეკი, ლიტმანენი (ან მიტეა), მაქსველი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი, სიკორა |

# ქვეშა როგორია ლიონში?
## ჭაბუკი ვან დამი სან სიროზე

„რუსენბორგის" თავკაცი ნილს არნე ეგენი ის კაცია, ვისაც ელემენტარული რამეები არასდროს ეშლება. „თუ შენ დაცვით ფეხბურთს თამაშობ, შეგიძლია, ქულას გამორჩე, მაგრამ თუ გამარჯვებას აპირებ, გოლის გასატანად უნდა იყო შემართული" — განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე 61 წლის სკანდინაველმა.

ნორვეგიელებს დაშავებული როარ სტრანდი მოაკლდებათ. ეს შეახაზელი უბრალო ვინმე არ გეგონოთ, რეკორდსმენია — ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი, 51 მატჩი აქვს ჩატარებული რვა სეზონში.

„რუსენბორგს" არც ზურგმტკივანი შემტევი დაგფინ ენერლი ეყოლება.

ფრანგებს ყველანი ჯანზე ჰყავთ. „ლიონის" დამრიგებელმა პოლ ლე გუენმა იმაზე დაიწუწუნა, სანერვიული ისლა მაქვს, სონი ანდერსონი პასებით როგორ გამოკვებავს ფორვარდებსო.

გასულ უქმეებზე „ლიონმა" პირველად წააგო შინ 2000 წლის ნოემბრის შემდეგ — მისი შემმუსვრელი „მონაკო" გამოდგა და ეს მარცხი ზედიზედ მესამე იყო „ლიონისთვის" ბოლო ერთი კვირის მანძილზე.

ჯგუფის მეორე წყვილზე იმას გეტყვით, რომ კუპერი სამი შემტევით იქადნება — ერნან კრესპოსა და კრისტიან ვიერის სიღრმიდან ალვარო რეკობაც წავაშველებო.

მცირე ტრავმები აწუხებს სტეფან დალმასა და ფრანჩესკო კოკოს, საეჭვოა სერჯიო კონსეისაოს თამაში, ხოლო ფაბიან კანავარო „რუსენბორგთან" მიღებული წითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებული.

აიაქსელებს ამერიკელი მცველი ჯონ ობაინი ჰყავთ შეუძლოდ, რომელსაც ქუსლი სტკივა და მას, ალბათ, 18 წლის ბელგიელი ჟოლ ვან დამი შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, რონალდ კუმანი მზადაა გარისკოს და ჭაბუკის აიაქსური დებიუტი „სან სიროზე" მოაწყოს.

საეჭვოა იარი ლიტმანენის თამაში — დიდი ფინელი ორთავე კუნთს შეუწუხებია.

**დავით თავართქილაძე**



რუსენბორგელი როარ სტრანდი (მარცხნივ) დღეს რეკორდის გაუმჯობესებას ვერ შეძლებს

## C ჯგუფი

### რეალი — გენკი

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ხელადესი, ფიგუ, კამბიასო, სოლარი, რაული, გუტი | მოსი, ვან ბიურენი, ტომაშიჩი, ზოკორა, რუმანი, ბესლია, ვამპორა, სკოკო, დაერდენი, სონკი, დაგანო |

### აეკ — რომა

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ხიოტისი, გეორგიადისი, რაიტი, კაპსისი, ზაგორაკისი, ცარტასი, კასაპისი, კაცურანისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, იგიჩი | ანტონიოლი, სარტორი, სამუელი, პანუჩი, კანდელა, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, ლიმა, ბატისტუტა, კასანო (ან მონტელა) |

# ლიგაში ლაჩრებს რა უნდათ

მადრიდის „რეალს" პირველ ჯგუფურ ეტაპზე უიოლესი მატჩი ელის — შინ, „გენკთან". ბელგიური „გენკი" ჩემპიონთა ლიგაში პირველადაა და თან „ბერნაბეუზე" ჩადის!

მაშ, რით იქნება ეს შეხვედრა საინტერესო? რონალდოს დებიუტით, თუ, რასაკვირველია, ეს დებიუტი შედგება. საქმე ის არის, რომ ორშაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის გმირმა გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ივარჯიშა, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ მაინც იტკიებდა მარცხენა კოჭს. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ამ შეხვედრაში არ ითამაშონ ზინედინ ზიდანმა და კლოდ მაკელელემაც. „ოსასუნასთან" შეხვედრაში (4:1) მათაც მცირე პრობლემები შეექმნათ. ვისენტე დელ ბოსკე თავდასხმაში გუტისა და რაულის წყვილს ათამაშებს, ხოლო ნახევარდაცვაში სანტიაგო სოლარის, ალბერტ სელადესის, სტივ მაკმანამანის და ფლავიო კონსეისაოს გამოჩენაა მოსალოდნელი.

და ამ დროს, ბელგიელთა თავკაცი ზეფ ვერგუსენი ამბობს: „ვისაც ეშინია, უჯობს შინ დარჩეს. ბიჭებს ვუთხარი, რომ საუკეთესო ფორმაში მყოფ მსოფლიო კლასის გუნდს უნდა ვეთამაშოთ, რომელსაც არავინ იცის, როდის დაუცდება ფეხი."

ხოლო „რომა" ათენშია, რათა აეკ-თან გამარჯვებით გამოისწოროს საქმე. აეკ-ს ზოგიერთი ფეხბურთელის მდგომარეობა აეჭვებს: ელიას ატმაციდისს მუხლი აწუხებს, დიონისის ხიოტისს კი ბარძაყი — ორივე მეკარეა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, კარი მესამე მეკარეს ხრისტოსტომოს მიხაილიდისს ანდონ.

„რომა" კვლავ დისკვალიფიკაცირებული ფრანჩესკო ტოტის გარეშე იქნება, თუმცა გაბრიელ ბატისტუტას ოსტატობას გამოიყენებს. ბატიგოლის მხარდამხარ, ალბათ, ანტონიო კასანოს ვიხილავთ. ისე კი, არ არის გამორიცხული, მეორე ფორვარდობა ვინჩენცო მონტელას დააკისრონ.

**ბაჩუნა ძიძია**



ჩელსელი ჯოდი მორისი და ფულემელი სტივ მალბრანკი ბურთს ასცდნენ და ფეხი ფეხს დაჰკრეს

# უგოლო დერბი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

**ფულემი 0:0 ჩელსი**

ფულემი: ვან დერ სარი, უადე, ნაითი, გომა, ჯომბ, ლეგვინსკი, შ. დევისი, ინამოტო (ბოა მორტე 62), მალბრანკი, მარლე, ჰეილსი

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ბაბი, გალასი, სტანიჩი, დე ლუკასი, ლამპარდი, ჯ. მორისი, ზენდენი (გრონკიაერი 66), ჰასელბაინკი, ძოლა (გუდიონსენი 74)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: უადე

მსაჯი: დარკინი

16 503 მაყურებელი

**დასავლეთლონდონურ** დერბიში, რომელიც ამჯერად ნასესხებ „ლოფტუს როუდზე" გაიმართა, რადგან „ფულემის" „კრივენ კოტეჯი" რემონტშია, მასპინძელმა და სტუმარმა „ჩელსიმ" ერთმანეთს გოლები ვერ გაუტანეს, თუმცა კი შეეძლოთ. მაგრამ ეს თამაში ისეთი იყო, დაცვა რომ უკეთესია და ასპროცენტიანი შანსი არც ერთს ჰქონია, შესასრულებელი შანსები კი, ცხადია, არსებობდა: ფულემელთაგან სტივ მარლეს, ბარი ჰეილესს და სილვენ ლეგვინსკის შეეძლოთ მომენტის უკეთ გამოყენება, ჩელსელთაგან კი იესპერ გრონკიაერს და ახალბედა ჰათს.

„ჩელსის" მენეჯერ კლაუდიო რანიერისთვის ეს იყო მეასე თამაში ამ გუნდის სათავეში. „ლოფტუს როუდზე" მისული „ლურჯების" ფანობა კი ჯერაც გოლისვერგამტან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს უსტვენდა. ჯიმი, რომელიც ღმერთად ითვლებოდა „ჩელსის" გულშემატკივართა შორის, ახლა ძალიან აჯავრებს ერთგულ ქომაგებს. გავარდნილა ხმა, რომ ის „ბარსელონაში" გადადის და უგულოდ ეკიდება თამაშს. ჩელსელთა მხრიდან განსაკუთრებული ხმაური მაშინ ატყდა, როცა რანიერიმ ჯანფრანკო ძოლა შეცვალა და არა ჯიმი.

ორივე მენეჯერმა, რანიერიმაც და ჟან ტიგანამაც თავისი მცველები შეაქო, ტიგანამ კი თქვა, ჩემი გუნდის ფეხბურთელთა კლასი შესამჩნევად ამაღლდა შარშანდელი სეზონის შემდეგო.

**ირაკლი გაგუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:7 | 17 |
| ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 15:8 | 15 |
| ჩელსი | 7 | 3 | 4 | 0 | 13:8 | 13 |
| ტოტენჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ლიდსი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:5 | 12 |
| ფულემი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 11 |
| მანჩესტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ასტონ ვილა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:8 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | 9 |
| ბირმინგემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| სიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| ბოლტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:7 | 6 |
| სანდერლენდი | 7 | 1 | 2 | 4 | 2:10 | 5 |
| ვესტ ჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | 2 |

# მუსკატის არომატს ძველი ცოდვებით ყნოსავენ

**სახელის** გატეხვას თავის გატეხვა რომ სჯობს, არა მხოლოდ ქართული სიბრძნეა.

საქმე ასეა — შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ „რეინჯერსის" 29 წლის ავსტრალიელი მცველი კევინ მუსკატი სადისციპლინო კომიტეტს გადასცა გასასამართლებლად.



კევინ მუსკატი

ასოციაციაში სპეციალური განყოფილებაა, რომელიც ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების ვიდეოჩანაწერებს უკირკიტებს და თუ რამ საკბილო აღმოაჩინა, ასპარეზს სადისციპლინო კომიტეტს უთმობს.

მუსკატს „ლივინგსტონის" ფეხბურთელის, კამაჩოს მიმართ განზრახ და სასტიკ უხეშობაში ედება ბრალი.

ფეხბურთელს ძველი ცოდვაც გაუხსენეს — მუსკატმა, რომელიც „რეინჯერსში" საამსეზონოდ გადავიდა ინგლისის პირველი დივიზიონის „ვულვზიდან", ორი წლის წინ ფეხი მოტეხა „ჩარლტონ ატლეტიკის" მოთამაშე მეტ ჰოლმსს და როგორც ამბობენ, ეს ფაქტი დიდ წვლილს შეიტანს შოტლანდიურად გასამართლებაში.

„რეინჯერსის" მენეჯერმა ალექს მაკლიშმაც ამაზე მიუთითა და დასძინა, კევინს ასი პროცენტით გვერდში ვუდგევართ, ხოლო ასოციაციის გადაწყვეტილებით გაწბილებული ვარო.

**დავით თავართქილაძე**

# ნაგავი და მკვლელები

## დი კანიოს განადგურებას ნურც ეცდებით

**„ვესტ ჰემ იუნაიტედის"** თავდამსხმელი პაოლო დი კანიო ინგლისურ პრესას აუმხედრდა — იტალიური „კონტრო კამპოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთელმა ბრიტანულ მედიას ნაგავი უწოდა და დასძინა, ჟურნალისტებს ძალიან კი სურთ, დამმარხონ, მაგრამ ვერ მოესწრებიანო.

რამ გამოიწვია დი კანიოს აღშფოთება? რამ და ყვითელმა გაზეთმა „სანმა", რომელმაც მთელი გვერდი მიუძღვნა იტალიელ ფორვარდს.

„ინგლისელები დიდი სათაურით ცდილობენ ჩემს განადგურებას, ბოდიშს კი პატარა მინაწერით იხდიან — თქვა დი კანიომ — ულირსთა სიას სათავეში „სანი" უდგას, მას კი მოჰყვებიან „დეილი ექსპრესი", „მირორი", „ნიუს ოფ ზი ვორლდი" და „დეილი მეილი".

დი კანიოთი ინგლისური პრესა იმიტომ დაინტერესდა, რომ ფეხბურთელი მოედანზე ერთობ ექსცენტრულად იქცევა.

გავიხსენოთ: 1998 წელს მან მსაჯი პოლ ალკოკი მიწაზე დაახეთქა, ხოლო 2000 წელს, „ევერტონთან" თამაშის დროს, რომ შენიშნა მეტოქეს მეკარეს პოლ ჟერარდს რაღაც ეტკინა და წინააღმდეგობას ვერ უწევდა, ბურთი დაუცველ კარში აღარ შეაგორა, რისთვისაც ფიფამ „ფეარ პლეის" ჯილდო.

გადასცა. ერთი სიტყვით, თავად გახლავთ საინტერესო პიროვნება.

„დახეთ — განაგრძობს დი კანიო — ინგლისურმა ტაბლოიდებმა კინაღამ მოკლეს ლეგენდარული ადამიანები, კევინ კიგანი და გლენ ჰოდლი, ახლა კი, დააკვირდით, რას უკეთებენ ერიკსონს. მათ ვერ აუტანიათ, რომ ინგლისის ნაკრებს სათავეში უცხოელი უდგას და კარგად მუშაობს."

დი კანიოს „ვესტ ჰემთან" კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს გადის, მაგრამ პრესასთან დაძაბული ურთიერთობის ნაცვლად, ამ ქვეყნიდან გაქცევას არ ჩქარობს. კითხვაზე, დაბრუნდება თუ არა იტალიაში, 34 წლის ფორვარდმა უპასუხა:

„არ ვიცი, არ მგონია, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. მე ხომ „ლაციოსადმი" ჩემი სიმპათია არასდროს დამიმალავს. ამასთან, ძალიან მინდა ტერნისთან ახლოს ვცხოვრობდე, რადგან ტერნიში მშობლები მყავს, თუმცა, იმავდროულად, არც „ვესტ ჰემში" დარჩენაზე ვიტყოდი უარს. ლონდონელი ფანები პატივს მცემენ."

აღსანიშნავია, რომ „კონტრო კამპო", იტალიური საფეხბურთო გაზეთი, რომელსაც დი კანიომ ინტერვიუ მისცა, იმ დღეს პირველად გამოვიდა.

**ბაჩუნა ძიძია**



პაოლო დი კანიო მეტოქეს ხან ახრჩობს, ხანაც ჯენტლმენურად იქცევა

## ბელგია

### I დივიზიონი. VI ტური

**ანდერლეხტი 6:3 მუსკრონი**

0:1 ბ. მუჯენზა (4), 1:1 ბასეჯიო (6), 2:1 ტამინენი (29), 3:1 მორნარი (36), 3:2 ბაკადალი (60), 4:2 ზანე (61), 4:3 დე ფლემინგერი (68), 5:3, 6:3 მორნარი (77, 80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 6 | 6 | 0 | 0 | 14:2 | 18 |
| სენტ ტრუიდენი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 13 |
| ანდერლეხტი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 13 |
| ლოკერენი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ლიერსი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| გენკი | 6 | 3 | 2 | 1 | 18:11 | 11 |
| მუსკრონი | 6 | 3 | 1 | 2 | 18:13 | 10 |
| ბეერსხოტი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:12 | 10 |
| მონსი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| გენტი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ანტვერპენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ლუვიე | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| ლომელი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| მეხელენი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:15 | 4 |
| შარლერუა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:13 | 3 |
| ბევერენი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | 3 |
| ვესტერლო | 6 | 1 | 0 | 5 | 2:12 | 3 |
| სტანდარდი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |

## ჩეხეთი

### VIII ტური

**სლავია 0:0 სპარტა**

**ლიბერეცი 5:1 ბუდეიოვიცე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 7 | 5 | 2 | 0 | 13:3 | 17 |
| ლიბერეცი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 17 |
| სლავია | 7 | 4 | 2 | 1 | 17:7 | 14 |
| იაბლონეცი | 7 | 3 | 4 | 0 | 9:6 | 13 |
| ბანიკი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ჟიჟკოვი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 9 |
| ბლშანი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | 9 |
| ტეპლიცე | 7 | 3 | 0 | 4 | 9:14 | 9 |
| პრჟიბრამი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 8 |
| სიგმა | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| ბრნო | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| ბოჰემიანსი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:14 | 7 |
| სინოტი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| ზლინი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 2 | 0 | 5 | 9:18 | 6 |
| ჰრადეც კრალოვე | 7 | 0 | 5 | 2 | 6:8 | 5 |

## პოლონეთი

### VII ტური

**ზაგლები 3:1 პოლონია**

**გურნიკი 1:2 ვისლა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატოვიცე | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 16 |
| ოდრა | 7 | 4 | 3 | 0 | 10:5 | 15 |
| ვისლა | 7 | 4 | 2 | 1 | 18:9 | 14 |
| ამიცა | 7 | 3 | 3 | 1 | 7:5 | 12 |
| ლეგია | 7 | 2 | 5 | 0 | 11:9 | 11 |
| პოლონია | 7 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| პლოცკი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | 9 |
| გროცლინი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | 9 |
| გურნიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 8 |
| ოსტროვიცი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ლეხი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:7 | 7 |
| რუხი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:9 | 7 |
| გარბანია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:14 | 7 |
| ზაგლები | 7 | 2 | 0 | 5 | 11:11 | 6 |
| ვიძევი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | 6 |
| პოგონი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:16 | 4 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. VI ტური

**კარლსრუე 0:2 აინტრახტი**

0:1, 0:2 გუიე-მიენი (44, 76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| კიოლნი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:6 | 14 |
| აინტრახტი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:5 | 12 |
| ტრიერი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 |
| მაინცი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 |
| ობერჰაუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:3 | 10 |
| უნიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | 10 |
| ლიუბეკი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:7 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| როიტლინგენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| ალენი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ფიურტი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ალემანია | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| დუისბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ვალდჰოფი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:13 | 3 |
| ზტ. პაული | 6 | 1 | 0 | 5 | 11:23 | 3 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:18 | 3 |
| კარლსრუე | 6 | 0 | 2 | 4 | 1:9 | 2 |

## პორტუგალია

### I ლიგა. IV ტური

**სპორტინგი 0:0 ვარზიმი**

გაძევება: რუი ჟორჟე (82, სპორტინგი)

**გიმარაეში 0:2 პორტუ**

0:1 დეკო სოუზა (40), 0:2 ტიაგო პერეირა (74)

გაძევება: რ. დიასი (44, გიმარაეში), გ. რიბეირო (61, პორტუ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 11:3 | 12 |
| პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| გიმარაეში | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 9 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ბელენენსეში | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ვარზიმი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბრაგა | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| ფერეირა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:3 | 6 |
| სანტა კლარა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ნასიონალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| მარიტიმუ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:8 | 4 |
| ლეირია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ბეირა მარი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |
| მორეირენსე | 4 | 0 | 0 | 4 | 4:8 | 0 |

## შვედეთი

### XXI ტური

**ჰალმსტადი 2:2 ჰელსინგბორგი**

**ელფსბორგი 2:1 ორგრიტე**

**გიოტებორგი 2:0 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 21 | 13 | 2 | 6 | 45:28 | 41 |
| იურგორდენი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:27 | 40 |
| ორგრიტე | 21 | 9 | 8 | 4 | 40:30 | 35 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 8 | 6 | 7 | 33:33 | 30 |
| ორებრო | 21 | 8 | 6 | 7 | 25:30 | 30 |
| სუნდსვალი | 21 | 7 | 8 | 6 | 24:27 | 29 |
| ლანდსკრონა | 21 | 8 | 4 | 9 | 36:30 | 28 |
| აიკ | 21 | 6 | 9 | 6 | 28:30 | 27 |
| ელფსბორგი | 21 | 7 | 5 | 9 | 23:28 | 26 |
| ჰამარბი | 21 | 6 | 7 | 8 | 35:35 | 25 |
| გიოტებორგი | 21 | 7 | 3 | 11 | 23:34 | 24 |
| ჰალმსტადი | 21 | 4 | 11 | 6 | 23:25 | 23 |
| ნორჩიოპინგი | 21 | 5 | 7 | 9 | 28:31 | 22 |
| კალმარი | 21 | 4 | 6 | 11 | 15:32 | 18 |



ბოკა ხუნიორსი — რასინგი. მარიანო გონსალესმა (№19) ბუენოსაირესელებს გამარჯვებისა შეუგდო

# არდილესმა გაიღვიძა

## არგენტინა

### აპერტურა

მე-9 ტური: ბოკა ხუნიორსი — რასინგი 3:4; სან ლორენსო — ოლიმპო 2:2; ესტუდიანტეს — არსენალი 1:2; ტალიერესი — ურაკანი 5:0; ინდეპენდიენტე — რივერ პლეიტი 1:2; ნუევა ჩიკაგო — კოლონი 1:1; უნიონი —ველეს სარსფილდი 0:1; ლანუსი — ხიმნასია 0:0; ბანფილდი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:0; როსარიო სენტრალი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:0

**ამ**, რა მართალი იყო ოსვალდო არდილესი, როდესაც ამბობდა, უხეიროდ მოთამაშე „რასინგის" მწვრთნელობიდან არ გადავდგებიო: კვირას „რასინგმა" შესანიშნავი და დაუვიწყარი გამარჯვება მოიპოვა, 0:3-დან თამაშში შემოუტრიალა „ბოკა ხუნიორსს" და 4:3 მოუგო.

ეს ამბავი „ბოკას" „ლა ბომბონერაზე" მოხდა, სადაც მასპინძლები იოლ გამარჯვებას ხედავდნენ მარსელო დელგადოსა და კარლოს ტევესის პირველ ტაიმში გატანილი გოლებით. არდილესი კიდევ ერთი მარცხიანი შედეგის წინაშე იდგა მეორე ტაიმის დასაწყისშივე, როცა მისმა გუნდმა მესამე გოლი გაუშვა უგო იბარას დარტყმის შემდეგ.

მაგრამ „რასინგმა" სასწაული მოახდინა: რვაწუთიან მონაკვეთში ადრიან ბასტიას, ნიოლას პოპოვიჩის გოლებმა და ბოკელი კლემენტე როდრიგესის ავტოგოლმა მასპინძელთა უპირატესობა გააქრეს, თინეიჯერმა მარიანო გონსალესმა კი თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მეოთხე გაუტანა ნირწამხდარ მასპინძლებს.

„რასინგი" ოცდათხუთმეტი წელიწადია არ ყოფილა არგენტინის ჩემპიონი, არდილესს კი ოცი წელიწადია სამშობლოში არ უმუშავია.

„ბოკას" რომ მოეგო, ლიდერ „ინდეპენდიენტეს" წამოეწეოდა, ახლა კი მესამეა და ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსან „რივერს", რომელმაც გასვლით მატჩში სეზონის პირველი მარცხი აგემა „ინდეპენდიენტეს".

იმ მატჩში ანგარიში ლუის ალვარესმა გახსნა, ანდრეს დალესანდრომ კი შეხვედრის დასასრულამდე სამი წუთით ადრე მეორე გაუტანა მასპინძლებს, რასაც ლუკას პუსინერის ერთადერთი საპასუხო გოლი მოჰყვა და თამაშიც 2:1 დასრულდა „რივერის" სასარგებლოდ.

„ჩაკარიტასთან" მატჩში ვერ მოიგო ლუის მენოტის „როსარიომ" და მეოთხე ადგილზეც ჩავარდა. „ტალერესის" ახალმა მწვრთნელმა სერხიო ბატისტამ კი იღბლიანად დაიწყო, მისმა გუნდმა 5:0 სძლია „ურაკანს". ეს უკანასკნელი უვარგისობით „ესტუდიანტესს" გაუტოლდა, რომელსაც მწვრთნელი ოსკარ კრავიოტო გაექცა.

### ონორიო ბუსტოს დომბიკე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 9 | 6 | 2 | 1 | 27:10 | 20 |
| რივერ პლეიტი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:5 | 18 |
| ბოკა ხუნიორსი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 17 |
| როსარიო | 9 | 5 | 2 | 2 | 20:8 | 17 |
| ველესი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:5 | 15 |
| სან ლორენსო | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 15 |
| უნიონი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:9 | 15 |
| ოლდ ბოიზი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| კოლონი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:16 | 13 |
| არსენალი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| ჩაკარიტა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:12 | 11 |
| რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:16 | 11 |
| ტალიერესი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| ბანფილდი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:6 | 9 |
| ლანუსი | 8 | 2 | 3 | 3 | 4:10 | 9 |
| ნუევა ჩიკაგო | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ოლიმპო | 9 | 1 | 4 | 4 | 11:15 | 7 |
| ხიმნასია | 9 | 1 | 3 | 5 | 5:12 | 6 |
| ესტუდიანტესი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:18 | 5 |
| ურაკანი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:21 | 5 |

# რა გატირებს, ბიჭო!

## ბრაზილია

მე-13 ტური: ვასკუ და გამა — ინტერნასიონალი 1:1; გუარანი — ჟუვენტუდე 0:0; ატლეტიკო პარანენსე — სან პაულუ 1:1; ატლეტიკო მინეირო — ფლამენგო 0:3; კორინთიანსი — პარანა 2:1; სან კაეტანო — ბაია 1:0; გრემიო — ვიტორია 4:0; პაისანდუ — პონტე პრეტა 4:3; ბოტაფოგო — კურიტიბა 0:2; პორტუგეზა — კრუზეირო 0:1; ფიგუერენსე — პალმეირასი 1:0; სანტოსი — გოიასი 1:1

**ერთი ამბავი** შეიქნა სან პაულუში, სადაც დიდი წიხლაობა ატყდა „სან პაულუსა" და ქვეყნის ჩემპიონ „ატლეტიკო პარანენსეს" შორის. თავად თამაშში 57 ჯარიმა დაინიშნა და ორი გოლი გავიდა. მთავარი ამბავი კი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მოხდა, როცა „ატლეტიკოს" დაცვის თანამშრომელმა მუშტი სთხლიშა მასპინძელთა ფეხბურთელ ჟულიო სანტოსს, რასაც მოჰყვა ჩხუბი მინდვრის კიდესა და გასახდელში, რაც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ეროვნული ტელევიზიით.

„ატლეტიკოს" პრეზიდენტმა მარიო სეზარ პეტრალიამ, რომელიც თავადაც მონაწილეობდა ჩხუბში, ჟულიო სანტოსს „მტირალა ბავშვი" უწოდა.

დიდი კრიტიკა ერგო შეხვედრის მსაჯ ანტონიო პერეირას, რომელსაც ბარათები საიმედოდ ჰქონდა შენახული თამაშის დროს და ვერ ხედავდა, როგორ ურტყამდნენ ერთმანეთს წიხლებს და იდაყვებს ფეხბურთელები.

თავად თამაშში კი სტუმრები იყვნენ წინ დაგობერტოს გოლით, თუმცა შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე რიკარდინიომ ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

„სამწუხაროა, რომ ჩემპიონი ასე იქცევა" — თქვა „სან პაულუს" მწვრთნელმა ოსვალდო ოლივეირამ, რომლის გუნდიც მეშვიდე ადგილზეა და შარშანდელი ჩემპიონის სუნთქვა სცემს ზურგში.

ამ ტურში ულამაზესი გოლი გაიტანა „გრემიოს" თავდამსხმელმა როდრიგუ ფაბრიმ, რომელმაც ნახევარი მოედანი გადაიარა, ოთხი მცველი ჩამოიცილა და ხარიხის ქვეშ ჩაჭედა ბურთი. „გრემიომ" კი როდრიგუსავე ჰეთ თრიქით იოლად მოუგო „ვიტორიას"— 4:0. მოგება კი იოლი იყო, მაგრამ ამ მატჩში სამი ფეხბურთელი გააძევეს, მათ შორის „გრემიოს" მეკარე დანრლეი, რომელმაც მოახერხა და პირველ ტაიმშივე მიიღო ორი ყვითელი ბარათი.

ლიდერმა „ჟუვენტუდემ" ამ ჯერზე ვერ მოიგო, უგოლო ფრეს დასჯერდა „გუარანისთან" და ახლა სამი ქულით უსწრებს „კურიტიბას" და „კორინთიანსს", რომლებმაც შესაბამისად „ბოტაფაგო" და „პარანა" დაამარცხეს.

„კორინთიანსის" ორივე გოლი ექვსკვირიანი ტრავმის შემდეგ გამოსულმა გილერმომ გაიტანა შეხვედრის ბოლო შვიდ წუთში. „მე არ ვნებდები" — ამაყად განაცხადა გილერმომ. „ბოტაფაგოს" მწვრთნელი ამელ ბრაგა კი უმუშევარი დარჩა.

### რომეულუს დიშბო ჟუანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟუვენტუდე | 12 | 8 | 2 | 2 | 15:6 | 26 |
| კურიტიბა | 12 | 7 | 2 | 3 | 20:13 | 23 |
| კორინთიანსი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:17 | 23 |
| სან კაეტანო | 11 | 7 | 0 | 4 | 21:12 | 21 |
| ატლ. მინეირო | 12 | 6 | 3 | 3 | 21:12 | 21 |
| სანტოსი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:16 | 21 |
| სან პაულუ | 12 | 6 | 2 | 4 | 21:15 | 20 |
| ატლ. პარანენსე | 12 | 5 | 4 | 3 | 22:15 | 19 |
| გუარანი | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| პორტუგეზა | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 |
| ვიტორია | 13 | 5 | 2 | 6 | 21:21 | 17 |
| ინტერნასიონალი | 12 | 4 | 5 | 3 | 20:18 | 17 |
| გრემიო | 12 | 4 | 4 | 4 | 17:14 | 16 |
| კრუზეირო | 12 | 4 | 4 | 4 | 14:18 | 16 |
| ფლამენგო | 11 | 4 | 3 | 4 | 19:16 | 15 |
| პონტე პრეტა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:10 | 14 |
| ბაია | 12 | 4 | 2 | 6 | 14:18 | 14 |
| გამა | 12 | 4 | 2 | 6 | 11:15 | 14 |
| ფიგუერენსე | 11 | 4 | 2 | 5 | 13:18 | 14 |
| ფლუმინენსე | 11 | 4 | 2 | 5 | 18:25 | 14 |
| ვასკუ და გამა | 12 | 3 | 2 | 7 | 14:17 | 11 |
| ბოტაფოგო | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | 11 |
| პარანა | 11 | 3 | 1 | 7 | 19:20 | 10 |
| პაისანდუ | 10 | 3 | 1 | 6 | 14:22 | 10 |
| გოიასი | 12 | 2 | 4 | 6 | 16:24 | 10 |
| პალმეირასი | 12 | 1 | 4 | 7 | 13:26 | 7 |



„ატლეტიკო პარანენსეს" ფანობა ყველა მეტოქეს მუშტმოღერებული ხვდება

## სამხრეთული დარტყმები

# არ ითამაშებთ, არ მოგცემთ
# ითამაშებთ, მაინც არ მოგცემთ

### ჩილე

ქვეყანაში პროფესიონალ ფეხბურთელთა გაფიცვა დასრულდა. დათმობაზე ისევ ფეხბურთელები წავიდნენ. მათ უბრალოდ სხვა გზა არც ჰქონდათ — ფულს უთამაშებლობით უფრო ვერ მიიღებდნენ. 23 დღის განმავლობაში ქვეყნის პირველობაზე გაფიცული კლუბების ახალგაზრდული გუნდები თამაშობდნენ. მათი მატჩების შედეგები კი ოფიციალურადაა შეტანილი სატურნირო ცხრილში.

### კოლუმბია

გიჟმაჟი მეკარე რენე იგიტას კლუბმა სტუმრად ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ატლეტიკო ნასიონალთან" ივაჟკაცა და შინ ქულა წაიღო. მატჩი 2:2 დასრულდა. 36 წლის იგიტამ კი ატლეტიკოელებს რამდენიმე რთული ბურთიც აუღო, ოღონდ ცუნდრუკობა არ დაუწყია, ალბათ, ასაკის მატებამ დაალვინა. სხვათა შორის, ვეტერან მეკარეს მასპინძელი კლუბის ფანებიც გულთბილად შეხვდნენ, რამაც იგიტას გული აუჩუყა და ათქმევინა, ბედნიერი ვარ, რომ ისევ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც მიყვარსო.

ცხრილის სათავეში კი „დეპორტივო კალი" დგას. მან ბოლო ტურში კარტახენას „დეპორტივოს" სძლია მინიმალური ანგარიშით — 1:0.

### ბოლივია

კლაუსურაში „ბლუმინგი" გალიდერდა. ბლუმინგელებმა, რომელთაც 1986 წლის არგენტინელი მსოფლიოს ჩემპიონი და გერმანიასთან ფინალურ მატჩში პირველი გოლის გამტანი ხოსე ლუის ბრაუნი წვრთნის, ლიდერობა საკუთარ მოედანზე მაჩაჩალა „მარისკალთან" 3:1 გამარჯვებით იგდეს ხელთ. მეორე ადგილზე მყოფ „ბოლივარს" „ბლუმინგთან" შედარებით ორი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ასე რომ, ხოსე ბრაუნის ბიჭების პირველობამ, შესაძლოა, დიდხანს ვერ გასტანოს.



ხოსე ლუის ბრაუნი

### ეკვადორი

კლაუსურაში დაუმარცხებელია კიტოს „დეპორტივო". ბოლო ტურში დედაქალაქურმა გუნდმა „ესპოლასთან" ფრედ, 2:2 ითამაშა. აპერტურას მომგები „ემელეკი" კი ახალი მწვრთნელის, როდოლფო მოტას ხელში სულ უფრო და უფრო უმატებს. ჩემპიონის ბოლო მსხვერპლი „ლიგა დე კიტო" გახდა. „ემელეკმა" 3:1 იმარჯვა.



# უგო სანჩესმა ცოდნა დაიწუნა

## სკოლარიმ ღვაწლი გამოამჟღავნა

**ბრაზილიელთა** მსოფლიოს კვარცხლბეკზე მეხუთედ ამყვანმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, როგორც ღვაწლმოსილ კაცს შეეფერება, მემუარები — „ფელიპაო, გამარჯვების სული" — დაწერა და სან პაულუში პრეზენტაციაც გამართა. ავტორი ავტობიოგრაფიული ნაშრომის პროპაგანდას მთელი ქვეყნის მასშტაბით აპირებს.

ეს ერთი საქმე ხომ მოათავა, ახლა შესაძლოა, სკოლარი ბევრად რთულ მისიას შეეჭიდოს — ის იმ ოთხ სპეციალისტს შორისაა, მექსიკის ნაკრების მწვრთნელობას რომ სთავაზობენ.

ბრაზილიელის გარდა კანდიდატებად დაასახელეს არგენტინელი სპეციალისტი კარლოს ბიანკი, რომელმაც „ბოკა ხუნიორსს" ორჯერ ლიბერტადორესის და ერთხელაც საკონტინენტთაშორისო თასები მოაგებინა, მექსიკური გუნდების გაწვრთნის დიდი მცოდნე რიკარდო ლავოლპე და არცთუ შორეულ წარსულში მექსიკელთა უსაყვარლესი ფეხბურთელი უგო სანჩესი. ფედერაციის პრეზიდენტი ალბერტო დელა ტორე საბოლოო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, დეკემბერში მიიღებს.

ოთხიო, კი ვთქვით, მაგრამ უგო სანჩესმა, ოთხმოციანი წლების მადრიდის „რეალის" სუპერფორვარდმა, ამჟამად დედაქალაქურ უნამ-ს რომ თავკაცობს, ეს ამბავი თავიდანვე შორს დაიჭირა. სანჩესმა თქვა, მშობლიური ნაკრების გაწვრთნაზე დიდი პატივი რა უნდა იყოს, მაგრამ მე თუ საქმეს ხელი მოვკიდე, უთუოდ ჩემპიონობით უნდა დავასრულო, საამისოდ კი ჩემი ცოდნა ჯერ საკმარისი არ არისო. სამომავლოდ კი ჩემი თავი შემოგევლოთო.

**ზურაბ რუხაძე**

# ნახე შენი როჟე ჩვენ როსდა გვეღირსება?

**სად და როგორ** უნდა მოიძიო ნაკრებისთვის მწვრთნელი? არა უბრალოდ მწვრთნელი, არამედ, მართლაც ძალიან კარგი სპეციალისტი?

აი, ამოცანის ამოხსნა ტუნისურად: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამ ჩრდილოაფრიკული ნაკრების თავკაცმა ამარ სუაიამ თავისი ნებით დატოვა პოსტი. რაღაც გული ცუდად მიცემს, მე თქვენი ნერვები აღარ მაქვსო.

ეს ივლისში მოხდა, მაგრამ იქაური ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს ნაკრების ახალი მესაჭე ალალბედზე არ დაუნიშნავთ. შექმნეს ექვსკაციანი ჯგუფი, რომელსაც ახალი მწვრთნელის მოძებნა დაევალა. თან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ეპოვნათ, ოღონდ იაფი და ხარისხიანი.

მკვლევარებს აქლემებით შორს სიარული არ დასჭირვებიათ. იქვე, ხმელთაშუა ზღვის მეორე ნაპირზე, საფრანგეთში, „მეფურ ძილით" როჟე ლემერს „ეძინა". ლემერი გაალვიძეს, ასე და ასეო, ჩვენთან სამუშაოდ თუ წამოხვალო.

ამის პარალელურად მარკო ტარდელისაც გაუგზავნეს წინადადება, რომელიც იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებით მუშაობდა. ტარდელიმ გასამრჯელოდ თვეში 50 ათასი დოლარი მოითხოვა, მას 25 ათასი შესთავაზეს. ვერ მორიგდნენ და მოლაპარაკება შეწყდა.

სწორედ ამ დროს განაცხადა თანხმობა ლემერმა, კი ბატონო, თვეში 21 700 დოლარადაც თანახმა ვარო. ხელი ხელს დაჰკრეს და ევროპის ჩემპიონი ფრანგი სპეციალისტი ტუნისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტუნისელებს ძველი თავკაცი იოსეფ სუაუი ავარჯიშებდა. სუაუიმ 1994-ში აფრიკის ეროვნებათა თასზე მალისთან პირველივე მატჩი წააგო და მოხსნეს. ახლა, როცა აგვისტოში ტუნისი საფრანგეთთან ფრედ — 1:1 ითამაშა, აქა-იქ გაისმა, უცხოელი რაღად გვინდა, პოსტზე ეს პატიოსანი კაცი დავტოვოთო, მაგრამ ტუნისის ფეხბურთის ფედერაციამ მაინც ლემერი ამჯობინა.

2004 წელს აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალური ეტაპი სწორედ ტუნისში გაიმართება. როჟე ლემერის ამოცანაც ნაკრების ნახევარფინალში გაყვანაა. თუ ამას მოახერხებს, ფრანგ სპეციალისტს კონტრაქტს გაუხანგრძლივებენ, თუ ვერა და...

მოკლედ, ძებნა (სურვილიც) უნდა, თორემ წელიწადში 260 ათას დოლარად კარგი მწვრთნელის ნახვა შესაძლებელი ყოფილა.

**ბაჭა ხუციშვილი**



| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ბრაუნშვაიგი 3:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 2:1 | 74 | საგოლე პასი, შეცვალეს | 7 | 1 | 5 |
| | | | **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | კრისტალ პალასი 1:0 | 88 | 1 გოლი, შეცვალეს | 3 | 1 | 9 |
| | დერბი ქაუნთი | შ | პრესტონი 0:2 | 90 | | 4 | 1 | 13 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | პარტიკი 3:0 | 81 | შეცვალეს | 8 | 3 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | სელტიკი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | სელტიკი 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| | | | **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ზვოლე 3:1 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| | | | **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | სტანდარდი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| | | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | დელემონი 2:2 | 90 | | 5 | 0 | 11 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ველი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | [illegible] |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | | ტური გამოტოვა | | | 9 | 5 | 12 |
| გია იმედაძე | ალანია | | ტური გამოტოვა | | | 10 | 2 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | | ტური გამოტოვა | | | 10 | 5 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | სპარტაკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდში | 0 | 0 | 14 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ზენიტი 2:2 | 90 | | 22 | 1 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სოკოლი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 7 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | სოკოლი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | როსტსელმაში 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 2 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | შ | კრილია 1:0 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| | | | **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ყუბანი 1:0 | 71 | შეცვალეს | 21 | 0 | 9 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ყუბანი 1:0 | 90 | | 25 | 2 | 9 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ყუბანი 1:0 | 90 | | 17 | 0 | 9 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ვორონეჟი 2:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ვორონეჟი 2:0 | 90 | | 11 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ვორონეჟი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 23 | 16 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | სკა ენერგია 2:0 | 90 | | 21 | 3 | 10 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | რუბინი 0:2 | 0 | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | სკა როსტოვი | შ | სპარტაკი 1:1 | 0 | | 7 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | სკა როსტოვი | შ | სპარტაკი 1:1 | 49 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 1 | 17 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | სკა როსტოვი | შ | სპარტაკი 1:1 | 66 | შეცვალეს | 9 | 0 | 17 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მ. მარიუპოლი 0:2 | 46 | შეცვალეს | 7 | 0 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | მ. მარიუპოლი 0:2 | 90 | | 10 | 6 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | მ. დონეცკი 1:1 | ? | 1 გოლი | 4 | 2 | 11 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 8 | 6 | 2 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | მ. ზაპოროჟია 1:1 | ? | | ? | 2 | 5 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | კარპატი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 14 |
| | | | **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ლეხი 0:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 4 |
| | | | **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | პანიონიოსი 1:3 | 65 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ორი ტურია, ლევან კობიაშვილი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს

# გორდა კილასონიას თხოვს და გეგუჩაძეს ახსენებს

**ბოლო წლების** უსიამოვნო ტრადიციას თავი ვერ დააღწია რუსთავის „გორდამ“. გუნდი „ლოკომოტივთან“ გუშინწინდელი საშინაო მარცხის შემდეგ სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა. ამაზე უარესი კი ის არის, რომ ფეხბურთელები გაძლებაზე არიან დაგვიანებული ხელფას-პრემიების მოლოდინში. ამიტომაც იყო, რკინიგზელებთან მასპინძლებმა წამყვანი მოთამაშეების გარეშე, გაახალისებული შემადგენლობით რომ ითამაშეს.

ზედიზედ ოთხმა მარცხმა და უფულობამ „გორდას“ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას გადადგომა აფიქრებინა. დღეს გუნდს იასონ ალადაშვილი ავარჯიშებს. ალადაშვილი გაუძღვა „გორდას“ „ლოკომოტივთანაც“, მაგრამ ვარლამ კილასონიას საკითხი კვლავაც გაურკვეველია. „გორდას“ ხელმძღვანელები უფრო კილასონიას დაბრუნებას სთხოვენ. ეს ჩვენთან საუბარში გუშინ გუნდის დირექტორატის წევრმა მარლენ ლაბაძემაც დაადასტურა. მოხარული ვიქნებით, თუ „გორდას“ ისევ ვარლამი გაუძღვება, მაგრამ ეს კილასონიას გადასაწყვეტია. თუ არ ისურვა მწვრთნელობა, „გორდას“ კარი მისთვის ყოველთვის ღიაა და სპორტულ დირექტორობას შევთავაზებთო, გვითხრა ლაბაძემ.

„გორდა“ — „ლოკომოტივის“ ორშაბათის მატჩს გია გეგუჩაძე დაესწრო, კულუარებში ითქვა, რომ რუსთაველები მთავარ მწვრთნელად გეგუჩაძის დაბრუნებას აპირებენ. არაბეთში ნამუშევარი ახალგაზრდა სპეციალისტი „გორდას“ აქამდეც წვრთნიდა და არცთუ ურიგო შედეგები ჰქონდა რუსთაველთა შეძლების ფონზე. გეგუჩაძეს გუშინ შევხმიანეთ. სჯობს ამის შესახებ „გორდას“ ხელმძღვანელებს ჰკითხოთ, მეტს ვერაფერს გეტყვითო, გვითხრა იოჰან ბოსკამპის ყოფილმა მარჯვენა ხელმა. მარლენ ლაბაძის თქმით კი, გეგუჩაძესთან დაკავშირებით „გორდას“ სხვა გეგმები აქვს, რაც ჯერჯერობით კონფიდენციალურია და ლაბაძემ ამასთან დაკავშირებით საუბარს თავი აარიდა.

რაც შეეხება გუნდში შექმნილ მწვავე ფინანსურ კრიზისს, „გორდა 2000“-ის დირექტორ სერგო ბუილიშვილის თქმით, უახლოეს მომავალში ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვლება „გორდას“ საკეთილდღეოდ.

**ბაატა ძგანტალიანი**



გია გეგუჩაძე



ვარლამ კილასონია

კვირას იტალიის ჩემპიონატი დაიწყო და „ბენეტონში" მანუჩარ მარკოიშვილის ბედიც გაირკვა. ერთი თვის წინ ტრევიზოულ კლუბში გადაბარგებული და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების მოწადინე ქართველი უკანახაზელი „ბენეტონის" ძირითად გუნდში ჩაირიცხა, ოღონდ... სავარაუდოდ, მარკოიშვილი წლეულს ალბათ ვერ ითამაშებს იტალიის ჩემპიონატის მატჩებში, თუმც ევროლიგაში შეეძლება მოედანზე გასვლა



# ოღონდ...
## მანუჩარ მარკოიშვილი ბენეტონელ-ევროლიგელია

— **მწვრთნელმა** ეტორე მესინამ „ბენეტონის" ძირითად თორმეტ კალათბურთელში შემიყვანა. უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნაღდი ბენეტონელი ვარ — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა ტრევიზოში რომ შევეხმიანეთ — სარეზერვო გუნდთან არავითარი შეხება არ მექნება, „ბენეტონის" რეჟიმში ჩავჯექი და ამიერიდან მწვრთნელი გადაწყვეტს, როდის გავალ მოედანზე. როგორც მესინამ მითხრა, უახლოეს მომავალში იტალიის ჩემპიონატში ვერ ვითამაშებ, რადგან სერია A-ს მატჩებში გუნდებს განაცხადში ოთხი არაევროკავშირელის შეყვანის უფლება აქვთ, „ბენეტონში" კი ასეთი ექვსნი ვართ. მართალია, ხორვატი მარიო სტოიჩი გერმანულ პასპორტს იღებს, მაგრამ მის ადგილს ასევე ხორვატი კრასიმირ ლონჩარი დაიკავებს. თუ რომელიმე არაევროკავშირელი ტრავმას მიიღებს, ჩემი ჯერიც მერე დადგება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მათ სათანადო კონკურენციას არ გავუწევ.

ეტორე მესინას მარკოიშვილის მოედანზე შესაშვებად ევროლიგა რჩება, სადაც უცხოელებზე არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.

— ევროლიგის მატჩების განაცხადში აუცილებლად ვიქნები, იქ თორმეტივე კალათბურთელს შეგვიყვანენ. მესინაც ალბათ იქ მომცემს თავის გამოჩენისა და პრაქტიკის შეძენის შესაძლებლობას. თუმც არა მგონია, რომ დიდი ხნით გამიყვანოს მოედანზე. ჩემი ვარაუდით, 3-5 წუთს ვითამაშებ, თუ მეტს, კმაყოფილი დავრჩები — ვარაუდობს მანუჩარი.

„ბენეტონმა" კი უმარკოიშვილოდ იტალიის ჩემპიონატის პირველ მატჩში „აველინოს" იოლად სძლია — 95:70. მანუჩარი ახალ გუნდს ოდენ ქომაგობით შეეწია და როგორც საუბრის ბოლოს გვითხრა, არაფერს დაიშურებს ჩემპიონატის მატჩებისას ტრიბუნიდან „ბენეტონის" სათადარიგო სკამზე გადასაჯდომად.

**ირაკლი ბერტაია**

# ჭკუანასწავლი სტუდენტები ბოლოს გაცინებას აპირებენ

*თსუ ყოველ სეზონს ძლიერი შემადგენლობითა და დიდი ამბიციებით იწყებს, თუმც საბოლოოდ რაც გამოსდის, ყველასთვის ცნობილია: სხვადასხვა მიზეზებისა თუ შეცდომების გამო სტუდენტები ოთხეულშიც ვერ ხვდებიან. ახალი სეზონიც ასე იწყება, თსუ-ს საჩემპიონო გუნდი ჰყავს და არც ამბიციები აკლია, მაგრამ რა გამოუვა, მოგვიანებით გამოჩნდება. სტუდენტების მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე გუნდის სიახლეებთან ერთად ზემოთქმულ უცნაურობაზეც გვესაუბრება...*



**— ბევრი მოთამაშე გამოგაკლდათ, შევსებასაც მიიღებდით...**

— ნიკოლაძე, ხეცურიანი, გიორგი მარკოიშვილი, შანიძე და მუშკუდიანი წავიდნენ, თუმც სხვა ძლიერი კალათბურთელები შევიმატეთ. დინამოელები — კორძაძე, ტურაშვილი და მიქაძე, ბასკოელი ამროსი ორმოცაძე და შევარდენელი ლაშა გამყრელიძე მომავალ სეზონს თსუ-ში გაატარებენ.

**— სტუ-ელი მამუკა აბრამიძეც ხომ თქვენთან გადმოვიდა?**

— აბრამიძეც ჩვენთან იყო, მაგრამ შემდეგ „დინამოს" ვარიანტი გამოუჩნდა და არ შევაფერხეთ.

**— ლევან ქარაბაკის ჯანმრთელობის საქმე როგორაა, მას თითქმის მთელი წინა სეზონი მუხლი აწუხებდა.**

— მან ზამთარში მენისკის ოპერაცია გაიკეთა, მუხლის მოშუშების პროცესი ძალიან გაუჭიანურდა, თუმც ახლა ყველაფერი რიგზეა. ლევანი ვარჯიშს 25 აგვისტოდან შეუდგა, როცა გუნდი შეიკრიბა...

**— საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეგიკრებიათ, მიზნებიც მაღალი გექნებათ.**

— გუნდი აშკარად გაძლიერებულია და სათანადო შედეგსაც ვუმიზნებთ. თავიდან ოთხეულში მოვხვდებით, მერე არც ჩემპიონობას გამოვრიცხავთ.

**— შემადგენლობა არც შარშან გყავდათ ურიგო, მაგრამ ოთხეულშიც ვერ მოხვდით...**

— შარშან ტრავმებმა გაგვტანჯა, ქარაბაკი ხომ დაგვიშავდა, მუშკუდიანსაც ხშირად აწუხებდა ტრავმა და ექვსეულში, გახსოვთ ალბათ, 12 კალათბურთელსაც ძლივს ვკრებდით. თანაც პირველ წრეში მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა, ბესიკ ლიპარტელიანი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს და მე ჩავუდექი სათავეში გუნდს.

**— ისე, წინა სეზონის წინაც ასე იყო და საერთოდაც თსუ-ს მუდამ რიგიანი შემადგენლობა ჰყავს, შედეგს კი ვერ აღწევს. რას ფიქრობთ, რისი ბრალია?**

— ბოლოსწინა ჩემპიონატშიც ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა თსუ-ს, მაგრამ, როგორც ვიცი, ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი და გუნდის ბრძოლისუნარიანობაც განელდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ულიდერობა იყო. ბოლო წლებში თსუ-ს ლიდერი არ ჰყოლია, ის კალათბურთელი, გუნდს რომ გაუძღვებოდა და გადამწყვეტ მომენტში თავზე აიღებდა თამაშს. კიდევ შეიძლება მიზეზების ჩამოთვლა.

**— რომელთა შორისაც ერთ-ერთი მთავარი შეუთამაშებლობაა. თსუ-ს შემადგენლობა ყოველი სეზონის წინ საფუძვლიანად იცვლება და ახლებს გზადაგზა უწევთ ერთმანეთთან შეწყობა. ამ მხრივ არც ახლანდელი თსუ-ა გამონაკლისი.**

— გეთანხმებით, მაგრამ ახალწვეულთა უმრავლესობა გამოცდილია და ერთმანეთთან თამაშის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. ორმოცაძე, ტურაშვილი და კორძაძე ძველი ვითელები არიან, სადაც მეც მიმუშავია. ამის იმედი მაქვს, ვფიქრობ, შეუთამაშებლობის პრობლემა არ შეგვაწუხებს.

**— ვისზე და რაზე გააკეთებთ აქცენტს? თსუ-ს შარშან მეტ-ნაკლებად წამყვანი სათამაშო რგოლი არ ჰყოლია...**

— ჯერჯერობით ამას ვერ ვიტყვი, რადგან თითოეულის შესაძლებლობებში ბოლომდე უნდა დავრწმუნდე. ერთი შეხედვით არც უკანა ხაზი გვყავს ურიგო და არც წინა. ქარაბაკს, კილაძესა და კორძაძეს ნებისმიერი გუნდის მაღლებთან ძალუძთ ტოლ-სწორად თამაში. ტურაშვილისნაირი გამოცდილი უკანახაზელი კი ჩვენს ჩემპიონატში იშვიათია. ამ ეტაპზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შარშანდელივით სეზონის დასაწყისშივე არ შევაკლავთ თავს მეტოქეებს. გეხსომებათ, ჩემპიონატის დაწყებისას როგორი თავდადებით ვიბრძოდით, სხვები კი თავს ინახავდნენ. თუნდაც „ბასკო", რომელმაც მთავარი ძალა, ამერიკელი კალათბურთელები მეორე წრეში შეიმატა. ქარაბაკი 30-35 წუთის ნაცვლად თავიდან ნაკლები დროით რომ გვეთამაშებინა, შესაძლოა, ოპერაცია სეზონის ბოლომდე აღარ დასჭირვებოდა და ჩვენც ვიხეირებდით. ახლა კი შევეცდებით, ძალები მაქსიმალურად დავზოგოთ.

**— განაცხადში კიდევ ოთხი კალათბურთელის შეყვანის უფლება გაქვთ, ვინმეს ხომ არ შეიმატებთ?**

— ამჯერად არავის დამატებას ვაპირებთ, პირველ წრეს 12 კალათბურთელით ვითამაშებთ. შევხედავთ, რა ხარვეზები გვექნება და თუ საჭირო გახდა, არც უცხოელების ჩამოყვანას გამოვრიცხავ.

**ირაკლი ბერტაია**

# 100 რეალი მარტო ფეხბურთი არ არის

*მადრიდის „რეალის" ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით უკვე არაერთი ღონისძიება მოეწყო, თუმც მთავარი მოვლენები ჯერაც წინაა. აქამდე ძირითადად ფეხბურთელები აქტიურობდნენ, ახლა კი კალათბურთელები გამართავენ ყეენობას, რომლებსაც ფეხბურთელებზე ნაკლებტიტულიანი გუნდი როდი ჰყავთ. 3 ოქტომბერს მადრიდში ევროპის უტიტულოვანესი „რეალის" წინააღმდეგ ევროლიგის ვარსკვლავები ითამაშებენ, ორი დღის წინ კი ცნობილ „სანტიაგო ბერნაბეუზე" საიუბილეო მატჩთან დაკავშირებული პრესკონფერენცია მოეწყო*



ხორხე ვალდანო და ხორდი ბერტომეუ

ევროლიგის მთავარმოხელის, ხორდი ბერტომიუსა და ევრონაკრების წინამძღოლ ჟელკო ობრადოვიჩის გარდა პრესკონფერენციას ცნობილი რეალელი ფეხბურთელი და მოღვაწე ხორხე ვალდანოც დაესწრო: „მადლობელი ვარ ევროლიგის ხელმძღვანელობისა, რომელსაც კარგად ესმის „რეალის" იუბილეს მნიშვნელობა და ამ მატჩით ძვირფას საჩუქარს უძღვნის მადრიდელებს" — მადლიერება გამოთქვა ვალდანომ.

პრესკონფერენციაზევე გააცხადა ჟელკო ობრადოვიჩმა თავისი რჩეულნი. 3 ოქტომბერს „რეალის" წინააღმდეგ ეს ევროვარსკვლავები ითამაშებენ: **ფრანგისკოს ალვერტისი (პანათინაიკოსი), დეიან ბოდიროგა (ბარსელონა), ტაიუს იდნი (ბენეტონი), მიხალის კაკიუზისი (აეკ), არიელ მაკდონალდი (პანათინაიკოსი), ხუან კარლოს ნავარო (ბარსელონა), მარსელო ნიკოლა (ბენეტონი), ლუის სკოლა (ტაუ), გურ შელეფი (მაკაბი), მირსად თურქჯანი (სიენა), ფრედერიკ ვეისი (უნიკაზა) და ნიკოლა ვუიჩიჩი (მაკაბი).**

როგორც ხედავთ, ობრადოვიჩმა ყველაზე მეტი, სამი კალათბურთელი თავის ამჟამინდელ კლუბ „პანათინაიკოსიდან" მიიწვია. ორი მოთამაშე ამერიკიდან ჩავა მადრიდში — ლუის სკოლა და ხუან კარლოს ნავარო წლეულს დრაფტზე აირჩიეს, თუმც შარშან ევროლიგელები იყვნენ. ტაიუს იდნი და მარსელო ნიკოლა კი მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელები არიან.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ და, სანამ მადრიდელები „რეალის" ასწლოვან იუბილეს აღნიშნავენ, თბილისელებმა ჩემპიონთა თასის ფინალში „დინამოს" „რეალზე" გამარჯვების ორმოცწლოვანი იუბილე უკვე იზეიმეს.

„რეალის" საიუბილეო მატჩს ევროლიგის ყველა მონაწილე კლუბის პრეზიდენტი დაესწრება და ტელერეპორტაჟი 22 ქვეყანაში გადაიცემა.


საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და გაზეთი „ოლიმპი" 26-29 სექტემბერს გიწვევთ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში

ლელო ლეიანის





სახელობის მემორიალზე

მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატის 6 საუკეთესო გუნდი

# გლდანმა ლუქსემბურგელებს კახეთში ევროპა მოუწყო

ქართველი ხელბურთელები საევროპოდ ემზადებიან. ვგულისხმობთ კლუბებს და არა ეროვნულ ნაკრებს, რომელიც კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ტრადიციულად იანვარში ჩაატარებს. ორიოდე კვირაში კი ჩვენს ოთხ წამყვან გუნდს ევროთასების მატჩები ელის: ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე სლოვაკთაგან ძლეული „სტუ — შევარდენი“, აგრეთვე „საუ-მამული“ და „ცეროზათუმი“ ქართველებისთვის ტრადიციული უფულობის მიზეზით ორივე შეხვედრას მეტოქეთა, მოედანზე გამართავენ.

ყველაზე დიდ გაწამაწიაშია ბრინჯაოს პრიზიორი „გლდანი“, რადგან გუნდის ხელმძღვანელობა ჩვენში უჩვეულო რისკზე წავიდა — ევროპის თასების მფლობელთა თასის საწყის სტადიაზე ლუქსემბურგის „ბაშარაჟს“ ორჯერვე საქართველოში თამაში შესთავაზა და თანხმობაც მიიღო: მსგავსი ამბავი ჩვენში არასდროს მომხდარა, ის კი არა, სხვაგანაც იშვიათია.

რისკი მართლაც უზარმაზარია და მხოლოდ ფინანსურ პრობლემებს არ ითვალისწინებს. აუცილებელია სტუმართა მაღალ დონეზე მიღება-დაბინავება, რათა ყოველმხრივ პატივნაცემებმა დატოვონ საქართველო და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციას ჩვენთვის ხინჯიანი პატაკი არ აახლონ. რაც უმთავრესია, ორმატჩიანი ღონისძიება მასპინძლებისთვის სასურველი შედეგით უნდა დასრულდეს, ანუ „გლდანმა“ გამოცდილ მეტოქეს აჯობოს და გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდეს. ისე, ორივე შეხვედრის მასპინძლობა დიდი თავსატკივარია, რადგან სამი-ოთხი დღით ოცკაციანი ჯგუფის სათანადოდ დახვედრა იოლი რომ იყოს, სხვებიც უპრობლემოდ შეძლებდნენ.

გლდან — ბაშარაჟის დაპირისპირება 12 და 13 ოქტომბერს შედგება. მოგეხსენებათ, ზუსტად იმ დღეებში თბილისში საქართველო — რუსეთის ორი მეტად პრინციპული, საფეხბურთო და სარაგბო მატჩია, რის გამო სულაც არ ჩანს მოულოდნელი, ხელბურთელებმა საასპარეზოდ თელავი რომ ირჩიეს.



თელავის სპორტსკოლის დარბაზი ევრომატჩის მოლოდინშია

სწორედ [illegible] ფრაუნდიანი ასპარეზობის [illegible] ჩასატარებლად, თელავს ესტუმრნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მერაბ მეტრეველი და „გლდანის“ მთავარი მწვრთნელი ლევან აბესაძე. თელავის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილე გოდერძი მამუკელაშვილთან და ქალაქის მერ ვასილ დავითაშვილთან ერთად მათ დაათვალიერეს საასპარეზოც და სასტუმროც, სადაც ლუქსემბურგელები იცხოვრებენ. სარბიელი — თელავის სპორტთამაშების სპორტსკოლის დარბაზი ნორმალურ „ფორმაშია“, თუმც გასახდელებსა და სანკვანძებს შეკეთება სჭირდება. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საამისოდ შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხა გამოყო, დანარჩენს „გლდანი“ გაიღებს. სტუმრები წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში იცხოვრებენ და, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ულამაზეს ტყე-პარკში გატარებული დღეებით კმაყოფილები დარჩებიან.

**გია ახალაძე**





დანიელა ჰანტუხოვა

# ჩამოვიდა ქალბატონი და ესეც მე მინდაო

## გრძელი, თეთრი ფეხების ტყე ისევ გაიკაფება

**CAMPIONATI INTERNAZIONALI DI SICILIA**
პალერმო. თიხა
საპრიზო 381 000 $

**პირველი წრე**

**დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 4:6, 6:1; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ფერნანდო ვისენტე (4, ესპანეთი) 6:1, 6:2; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 6:2; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:0, 6:1**

ესპანელმა დავიდ ფერერმა პირველი სა-ATP-ო ტიტული შუასექტემბერში ბუქარესტულ თიხნარზე მიითვალა. მას შემდეგ იგი ყველა სათიხნარო შეჯიბრზე სასურველი სტუმარი გახლავთ. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა მისი სახელი და გვარი პალერმოულ ტურნირზე გამომსვლელთა შორის ამოიკითხა.

პალერმოში ჩვენიანი ირაკლი ლაბაძეც ჩასულიყო და რაოდენ სამწუხაროა, რომ კენჭისყრამ ისინი პირველსავე მატჩში ერთმანეთს შეჰყარა. ქართველმა კაცურად იომა, მაგრამ რეიტინგსიაში მე-60 ადგილამდე აღზევებული ესპანელის მოშთობა მაინც ვერ შეძლო. შედეგად — მორიგ წრეში პირინეელი ითამაშებს.

დღის უმთავრესი მოულოდნელობა კი მაინც მეოთხე ნომრად განთესილი ესპანელის, ფერნანდო ვისენტეს დამარცხება იყო. ჩოგანი მას ისე-რა ჩეხმა ბოგდან ულირახმა შეუბრუნა.

სხვაფრივ — არგენტინელმა ფრანკო სკილარიმ, ვინაც ერთადერთია ტურნირზე მოთამაშეთაგან, ოდესმე პალერმოულ ფინალში რომ გასულა, ბელგიელი კრისტოფ როშუ დაადულა. სამი კვირაა, ახალ მწვრთნელთან ვვარჯიშობ და ყინჩად ამიტომაც ვარო, იძახდა მერე. მცოდნე ხალხმა თქვა, ნაღდად ეგრეაო და ჩვენც ვენდოთ — მეტი რა დაგვრჩენია!

**SPARKASSEN CUP INTERNATIONAL DAMMEN TENNIS GRAND PRIX**
ლაიპციგი. ხალიჩა
საპრიზო 585 000 $

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 4:6, 6:3, 6:3; ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:3; რიტა გრანდე (იტალია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:1**

იმ დღეს სახელიან ქალთაგან მხოლოდ ორმა, გრძელფეხება სლოვაკმა დანიელა ჰანტუხოვამ და მძლავრად მოგლაჯუნე რუსმა ანასტასია მისკინამ იჩოგნავეს. მათზე მეტს არას მოგახსენებთ — ანგარიშებს თავადაც ხედავთ.

ისე კი — ლაიპციგში მკერდვიაგრა ელენა დოკიჩთან, ჟუსტინ ენენსა და კიმ კლაისტერსთან ერთად სერენა უილიამსიც ჩასულა და, როგორც გუშინ უთქვამს, „მერვეჯერაც სდომებია“. ვინმეს რამე რომ არ ეგონოს, განგიმარტავთ, რომ „მერვეში“ უმცროსი შავდა ტიტულს გულისხმობდა და ამით იმის თქმა სურდა, წლეულს ჩემი მერვე ტიტულის მოგება მწადიაო. ეგებ ვინმეს მიგავიწყდათ და, მეშვიდე საამსეზონო ტურნირი მან გასულ შაბათს ტოკიოში მოიგო.

**ლევან ძელაურაძე**

# დავამხოთ!

## ჟუსტინ ენენი: გადავაგდოთ შავდათა უღელი

**მსოფლიოში** მე-7 ჩოგნის მქნეველი ბელგიელი გოგო ჟუსტინ ენენი თურმე ფლორიდაში დასახლებას გეგმავს. „ისე არ გეგონოთ, ემიგრაციაში მივდიოდე — განუცხადა მან მშობლიურ „ლა დელნიელ ოლს“ — მაგრამ იქ ისეთი საუცხოო საწვრთნელი ბაზაა, ისეთი საოცარი ინფრასტრუქტურა... რა ვქნა, მე სხვა არჩევანი არა მაქვს იმის გარდა, რომ ჩემი თამაში გავაუმჯობესო. ამას კი სეღლბრუკის ბაზა სჭირდება“.

ამ ბაზაზე სადღეისოდ ზეპურთაგან ორნი — ჯენიფერ კაპრიატი და მარტინა ჰინგისი იწაფებიან. 20 წლის ჯან-ციდა ჟუსტინი მათ დეკემბრიდან უნდა შეუერთდეს.

„მე ამბიციური გოგო ვარ და ნიადაგ იმაზე ვოცნებობ, რომ ადრე თუ გვიან, მსოფლიოს მთავარმეჩოგნე უნდა გავხდე“ — ამბობს იგი, თუმცა იქვე დანანებით დასძენს, რომ საამისოდ შავდა უილიამსებს უნდა სძლიოს, რაიც თითქმის შეუძლებელ ამოცანად ესახება.

„მათ უკვე თავიანთი ლიგა აქვთ, ამ ლიგაში კი კიდევ ერთი ზელიგაა, რომელშიც მხოლოდ სერენა თამაშობს. ამ ბოლო თვეების განმავლობაში ის მართლაც შეუდარებელი გახლდათ“.

„თუმცა სასოწარკვეთილებას ალბათ არ უნდა მივეცეთ. მე იმ, ვინუსისმომდევნო ქვედალიგელთა წარმომადგენელი ვარ, რომლებიც თამაშს კვირიდან კვირამდე აუმჯობესებენ. აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში ამელი მორესმომ ვინუსს კინაღამ მოუგო — მართალია, კინაღამ არ ითვლება, მაგრამ ეს მაინც ნიშანდობლივი მოვლენა იყო. ახლა დანიელა ჰანტუხოვას, ელენა დოკიჩსა თუ ანასტასია მისკინას შეხედეთ — მათი პროგრესი დამაიმედებელია. შორს აღარაა ის დრო, როცა ჩვენ შავდათა უღელს მოვიშორებთ“.

იმ დროის მოსვლამდე ჟუსტინი უკვე ფლორიდაში იცხოვრებს. ოღონდ ის მარტოქალად აღარ იქნება — ბელგიის დატოვებამდე ის ბავშვობის ნანდაურს, ჩოგბურთის მწვრთნელ პიერ-ივ არდენს უნდა შეეუღლოს.

ქორწილი 16 ნოემბერს გაიმართება და ამბობენ, ფხიზელი თუ ვინმე ნახეს, იმას ბროლის ჩოგნით დაალევინებენო. მააშ!



ჟუსტინ ენენი

# გაუთავებელი არაფერი ვარგა

## ჰიუიტი შემოკლებას აპირებს

**ცხადია,** არა თმის — რადგანაც თმები მას ისედაც მოკლე აქვს. და, ცხადია, არც ჩოგნის — რადგანაც ეს წესებით დაუშვებელია. მაშ, ნუთუ იმისა, ამასწინათ საფინი რომ ამბობდა — იკითხავს შემცბარი მკითხველი და — ვაგლახ — მართალიც აღმოჩნდება. მეჩოგნე კაცთა უსტაბაში მომავალი სეზონიდან მართლაც მისი განრიგის შემოკლებას აპირებს!

როგორც 21 წლის ოზიმ განაცხადა, იგი შეკვეცს ტურნირების რაოდენობას, რათა დროზე ადრე არ გადაიწვას და ჩოგბურთით ტკბობა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში შეძლოს.

„მომავალ სეზონში უფრო მეტ ყურადღებას სლემტურნირებსა და დევისის თასს დავუთმობ — თქვა ჰიუიტმა — ვფიქრობ, რომ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ტურნირებზე გამოსვლითა და ისე-რა ტურნირების უგულებელყოფით გადაწვასაც ავირიდებ და მოყირჭების იმ საშინელ გრძნობასაც, რასაც გაუთავებელი, უპაუზო ჩოგნაობა იწვევს“..



ლეიტონ ჰიუიტი

ჰიუიტი აცნობიერებს, რომ ეს გადაწყვეტილება მას შესაძლოა პირველმეჩოგნეობის დაკარგვად დაუჯდეს, მაგრამ ამაზე მაინც ნაკლებად დარდობს. უმთავრეს მიზნად ის ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობათა, ანუ მის მიერ ჯერაც ვერმოგებულ სლემტურნირთა მოგებას ისახავს.

ჩვენი კომენტარი? — არც არანაირი. ყველამ ისე უნდა იჩოგნაოს, როგორც მას ეხალისება. ბოლო-ბოლო — გაუთავებელი მართლაც არაფერი ვარგა.

**ლევან ძელაურაძე**



# მივდივართ დუბლინში და... რა იქნება თბილისში?

*სამი დღეც და საქართველოს ნაკრები 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირს დაიწყებს. ბორჯღალოსნები პირველ მატჩს 28 სექტემბერს ჯგუფის ფავორიტ ირლანდიასთან დუბლინში გამართავენ. იმ ირლანდიასთან, რომელმაც ჩვენი ჯგუფის პირველ მატჩში კრასნოიარსკში რუსეთი 35:3 მოუგო. გუშინ საქართველოს ნაკრებმა სამდღიანი საირლანდიო შეკრება დაიწყო. ბორჯღალოსნები მონპელიეს მახლობლად, სოფელ მოგიოში დაბინავდნენ. ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა შეკრებაზე 30 მორაგბე გამოიძახა. მათგან შეირჩევა ის 22 კაცი, რომელიც კიტ ვუდს და კომპანიას დაუპირისპირდება*

— ძალიან მყუდრო სოფელია. მოედანი ჩინებულია და პირობებიც ნორმალურია. მხოლოდ ვარჯიშზე ვფიქრობთ, სხვა საზრუნავი არ გვაქვს — გვითხრა ბორჯღალოსანთა კაპიტანმა **ლევან ცაბაძემ**, მოგიოში რომ დავუკავშირდით.

**— აქამდე ტრადიციულად მონპელიეს „გრანდ მოტეს" სპორტულ ბაზაზე იკრიბებოდით, ახლა რატომ არჩიეთ მოგიო?**

— ეს სორელის გადასაწყვეტია. თანაც სხვადასხვა გარემოებათა გამო გვირჩევნია, აქ მოვემზადოთ. თან „გრანდ მოტეს" ბაზა დაკავებულია. იქ კლუბი „მონპელიე" ვარჯიშობს და ჩვენთვის მოედანს არ სცალია, ამიტომ სავარჯიშო გრაფიკი აგვერეოდა. გვიჯობს ნაკლებად კომფორტულ გარემოში მოვემზადოთ, მაგრამ ხელი არავინ შეგვიშალოს.

**— დუბლინში როდის ჩახვალთ?**

— პარასკევს, წინა დღეს სორელი 22-კაციან შემადგენლობას დაასახელებს. გამორიცხული არაა, მათ სამი მორაგბეც დაემატოს და დუბლინში 25 კაცით წავიდეთ.

**— მოგიოში სპარინგ-მატჩებს ხომ არ გამართავთ?**

— არა. აქ მხოლოდ სავარჯიშოდ შევიკრიბეთ. სპარინგ-მატჩებისას ტრავმების ალბათობა მეტია, ირლანდიის შემდეგ კი რუსეთს ვმასპინძლობთ და ზედმეტი პრობლემები ნაღდად არ გვინდა.

**— ირლანდიასთან მოგება ჩვენთვის ალბათ წარმოუდგენელია. ამ მატჩს სარუსეთოდ მზადების ერთ-ერთ ეტაპად ხომ არ გამოიყენებთ?**

— ასეა, სორელმაც უკვე გვითხრა, რომ ირლანდიასთან მეორე შემადგენლობის დაყენებას აპირებს. ეს იმიტომ, რომ ძირითადი ბირთვი დაასვენოს და რუსეთთან მაქსიმალურ მზადყოფნაში ჰყავდეს.

**— ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— სამწუხაროდ, შერკინების ერთ-ერთ ლიდერ გია ლაბაძეს საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში ყვრიმალის ძვალი გაუტყდა და ოპერაცია გაიკეთა. გიას სამი კვირა დასჭირდება, ვარჯიში რომ დაიწყოს. შეიძლება რუსეთთან ვერ ითამაშოს, რაც ჩვენთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. მუხლის ოპერაცია გაიკეთა მორკინალმა სოსო ნიკოლაენკომ, რომელიც ერთ თვეში ჩადგება მწყობრში. ნიკოლაენკოს მაგივრად სორელმა ჩემი მონფერანელი თანაკლუბელი დავით აშვეთია გამოიძახა. დანარჩენები ჯანზე ვართ. სიმართლე გითხრათ, აქედანვე უფრო რუსეთზე ვფიქრობთ, ვიდრე ირლანდიაზე. სწორედ რუსეთთან გაირკვევა მსოფლიოს თასზე წამსვლელი გუნდი. მაქსიმალურად ვცდილობთ, კარგად მოვემზადოთ და ქართველი ხალხი არ დავალალატოთ.

მოგიოში შეკრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

***მორკინალები:*** *ლევან ცაბაძე (მონფერანი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), გოდერძი შველიძე (ბეზიე), დავით აშვეთია (მონფერანი), აქვსენტი გიორგაძე (როვიგო), ვიქტორ დიდებულიძე (ფიზაკი), ვანო ნადირაძე (ბეზიე), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), სერგო გუჯარაიძე (ლონსელონიე), მამუკა გორგოძე (ორბელი-ლელო), დავით ბოლაშვილი (უგუნდო), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), გიორგი ჩხაიძე (ლა როშელი), ილია ზედგინიძე (როვიგო), ზვიად მათიაშვილი (კანი).*

***შუანა ხაზი:*** *ირაკლი აბუსერიძე (ორიაკი), გუჯა იოვაძე (აგდი), მერაბ კვირიკაშვილი (ორბელი-ლელო), პალიკო ჯიმშელაძე (ორიაკი), ოთარ ბარკალაია (ორბელი-ლელო), ლაშა ფირფილაშვილი (ორბელი-ლელო), თედო ზიბზიბაძე (ტური), ვასილ კაცაძე (გრენობლი), კახა ალანია (ლოკომოტივი), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), ვასილ აბაშიძე (ლოკომოტივი), ბესიკ ხამაშურიძე (ოში).*

**ბაჩო სვანიძე**

# მაგრაქველიძემ სიმართლე ლელოსავით გაიტანა

*ბრივის პროკურატურამ საქართველოს ნაკრების მორკინალის მამუკა მაგრაქველიძის წინააღმდეგ აღძრული საქმე დახურა. სამხილები არასაკმარისობის გამო მაგრაქველიძე აკრძალული პრეპარატების უკანონო ტრანსპორტირებაში უდანაშაულოდ სცნეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი მორაგბე თავისუფალია და ახლა მხოლოდ მოწმის სახით თუ დაიკითხება*



მამუკა მაგრაქველიძე მონპელიესთვის ითამაშებს

**„მაგრაქველიძეს** ბოლო ბრალდებაც მოუხსნეს და შეიძლება, მოწმედ დაიბარონ. მამუკას თავისუფლად შეუძლია სამოქალაქო კოდექსი მოიშველიოს და კონტრაქტის გაუქმების გამო ყოფილ კლუბ „ბრივს" კომპენსაცია მოსთხოვოს. როგორც ვიცი, იგი ამას არ აპირებს. არ სურს, წარსულს დაუბრუნდეს. ამ ამბის დვიწყება უნდა და მომავალს იმედიანად უყურებს" — გვითხრა საფრანგეთში მცხოვრებმა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა.

ყველაფერთან ერთად მაგრაქველიძე არც მორაგბის ლიცენზიას დაკარგავს და მის მსურველ კლუბს უპრობლემოდ გაუფორმებს კონტრაქტს. ასეთები კი საკმაოდ იყვნენ, მაგრამ, ქასაშვილის თქმით, მამუკა უკვე შეუთანხმდა „ელიტ 2-ის" მოწინავე „მონპელიეს" და წინასწარ კონტრაქტზეც მოაწერა ხელი. „მონპელიეს" და ქართველის თანამშრომლობა ოფიციალურად ამ ორშაბათს გაფორმდება.

„ჩვენ მას ვაძლევთ შანსს, ითამაშოს და დეპრესიას მოერიოს. მაგრაქველიძე ძლიერი მორკინალია. მისი ნიჭი და მონაცემები წინსვლაში დაგვეხმარება" — განაცხადა „მონპელიეს" გენერალურმა მენეჯერმა ბერნარ გალიმ.

მაგრაქველიძეს ჰქონდა შანსი, საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონ „ტულუზში" გადასულიყო, მაგრამ კლუბი და ჩვენიანი ვერ მორიგდნენ. ქართველის დაბრუნება ძალიან სურდა მამუკას ბრივამდელი კლუბ „ოშს", რომლის მწვრთნელი ანრი ბრონკანი მაგრაქველიძეს მუდამ გვერდში ედგა და მისი მეგობარია. სხვათა შორის, სწორედ ბრონკანის შუამდგომლობით და რეკომენდაციით მოხვდა მაგრაქველიძე „მონპელიეში", რომელსაც თავისი ხელმოწერით ერთწლიან ერთგულებას აღუთქვამს.

**ბაჩო სვანიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

# შევარდენი ყოჩებს შეუვარდა

## ზვიადაძე გაუზვიადებლად მაგარი ჩანს

### უმაღლესი ლიგა

**მეოთხე ტური**

**ლოკომოტივი 45:25 აია**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ბუგიანიშვილი, გიგაური (ძიძიშვილი), ო. ელოშვილი, გუგავა (ანდღულაძე), ხაჩირაშვილი, სამხარაძე, მაჭუტაძე, მაისურაძე, მზარეულიშვილი, ბერძენიშვილი, სორდია, ცხადაია, ვალიშვილი, კობახიძე
ნლ: მაისურაძე, კობახიძე, სამხარაძე, გუგავა, გიგაური, ბუგიანიშვილი; ნგ: გუგავა (4), ხაჩირაშვილი (2); 1ს: ხაჩირაშვილი
**აია:** ზვიადაძე, მოდებაძე, სულამანიძე, ლილუაშვილი, დ. გუგავა (ნამჩევაძე), ხელაძე (ბრეგაძე), ჩუბინიძე, კვეანიშვილი (ქოლაძე), კუხიანიძე, ბუხაიძე, კანწურაშვილი, ორმოცაძე (ს. გაბუნია), ბალანჩივაძე, მინაძე, გ. გაბუნია
3ლ: მინაძე, სულამანიძე, ჯგუფური; 2გ: ზვიადაძე; 1ს: ზვიადაძე; 1ა: ზვიადაძე;
**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა
**ვითვალყური:** გენადი ლადუა

**ყოჩები 19:23 შევარდენი**

**ყოჩები:** კობერიძე, აბრამიშვილი, სოხაძე, გომარელი (გრუტკო), მხეიძე, ავლოხაშვილი, ფაილოძე, ალიმბარაშვილი, გოლიაძე, ჯიქურიძე, ჭილიძე, ქავთარაძე, კახაძე, მაღლაკელიძე, ხაბეიშვილი
1ლ: ფაილოძე; 1გ: ავლოხაშვილი; 4ს: ავლოხაშვილი;
**შევარდენი:** მათნაძე, შავაძე, ბ. ვეკენიძე, დავლაძე, ს. ვეკენიძე, ჩუბინიძე, გიორგაძე, მოლაშხია, თათევოსიანი, კუპულაძე, ალიქაძე, კახიძე (პარწიკანაშვილი), გუგუშვილი, კიკვიძე, ხაჟომია
3ლ: ხაჟომია, დავლაძე, შავაძე; 1გ: ს. ვეკენიძე; 2ს: ს. ვეკენიძე;
**გაძევება:** ხაბეიშვილი (ყოჩები)
**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი
**ვითვალყური:** ზურაბ ხარშილაძე

იყო დრო, თბილისის „ლოკომოტივისა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირების ნახვა ერთ რამედ ღირდა. ორივე გუნდში მრავლად იყვნენ სახელიანი მოთამაშენი. ახლა კი შემადგენლობით რკინიგზელები თუ დაიკვეხნიან, თორემ „აიას" მოწაფეებს და ქუჩიდან აყვანილი ბიჭებით უწევთ ფონს გასვლა.

„აიას" მწვრთნელმა დიმიტრი ფულარიამ თითქმის ყველა შეაწუხა, ვისაც კი ხელის გამართვა შეეძლო, მაგრამ რაგბის ოდინდელ კერაში ოვალური ბურთისთვის არავის სცხელა და გუნდიც მწვრთნელებისა და მოთამაშეების ენთუზიაზმით არსებობს.

„ლოკომოტივს" აკლდნენ ლიდერები — კახა ალანია და ვასილ აბაშიძე. ორივე სანაკრებო შეკრებაზეა და ირლანდიასთან მატჩისთვის ემზადება. ალანია და აბაშიძე ერთობ დიდი ძალაა და მათი მოსაკლისება აშკარად ეტყობა „ლოკომოტივს".

ქუთაისელები მხოლოდ პირველი ტაიმი გაუძალიანდნენ ჩემპიონებს. ერთი პირობა ლოკომოტიველი მაისურაძის ლელოს მინაძის ლელოთი უპასუხეს და ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ნამგზავრებს დაღლა დაეტყოთ და მეორე ტაიმში საბოლოოდ გატყდნენ.

წაგებულთაგან გამოირჩა ზურაბ ზვიადაძე. ამ ბიჭს კოჭებში ეტყობა, რომ გამორჩევით ფეხბურთელი დამრტყმელია. ზვიადაძეს შეუძლია, მოედნის ცენტრიდანაც გაიტანოს და მოულოდნელად ზუსტი არეკნიც ამოჰკრას. ზვიადაძე „აიას" საუკეთესო სნაიპერია. თუ ასე განაგრძო, ვინძლო მალე ნაკრების კარიც შეაღოს, სადაც დამრტყმელის პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

ბათუმის „შევარდენი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, მაგრამ სახელებს არ ეპუება და აგერ, ბატონო, „ყოჩებს" აჭამა ალიყური. „შევარდენს" წვრთნის რამაზ სანებლიძე, რომელსაც საბჭოური ხანის „შევარდენის" წარმატებები უკავშირდება. ახლა სანებლიძემ ზღვისპირეთში მოჰკიდა საქმეს ხელი და „დათვების" ნამატი დააფრთიანა.

მთელი ოთხი ტური დასჭირდათ სანებლიძეს და მის შეგირდებს, უმაღლეს ლიგაში დებიუტი ნაღდი გამარჯვებით რომ აღენიშნათ. აქამდე „შევარდენმა" ორი ქულა მეტოქის, „უნივერსიტეტის" გამოუცხადებლობის გამო ჩაიწერა. ახლა კი ამ ქულებს ვერავინ დაამადლის ზღვისპირელებს.

ვერ აეწყვნენ „ყოჩები". საწყისი ორი მატჩის მოგების შემდეგ ტემპს უკლეს და ჩემპიონატის საშუალო გუნდად გადაიქცნენ. თანაც ახლა ლიდერი და უპირველესი მექულე ლადო ავლოხაშვილიც დააკლდებათ. „ორბელი-ლელოს" გაზრდილი და ახლა ყოჩელი ავლოხაშვილი დღე-დღეზე საფრანგეთში გააგრძელებს კარიერას. ეს ბიჭი ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელსაც შეთვალიერებული ჰყავს და ამ ზაფხულს შეკრებაზეც გამოიძახა. სწორედ ლადოს დარტყმულებით გაააბათილეს „ყოჩებმა" ხუთბურთიანი ჩამორჩენა, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ. მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში 19:18 იყო თბილისელთა სასარგებლოდ, როცა მათ ლელოსთან ახლოს შერკინება დაინიშნა. კაცნაკლული „ყოჩები" მაგრად კი დადგნენ, მაგრამ ჯაჯგურში ბათუმელი ხაჟომია გაეპარათ და მანაც გამარჯვების ლელო დადო.

### I ლიგა

**მეოთხე ტური**

**დინამო 18:12 ყოჩები-2**

მთლად ფეხბურთელებივით და კალათბურთელივით არა, მაგრამ არც მორაგბეები დაუტოვებია უყურადღებოდ. ბადრი პატარკაციშვილს, რომელსაც სარაგბო კლუბი „დინამო" არ უყიდია, მაგრამ თხოვნაზე უარი არ უთქვამს და ერთჯერადი დახმარება გაუწია. ეს დახმარება კი შეკრების მოსაწყობად და ეკიპირების პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი აღმოჩნდა.

„დინამოს" პირველი ლიგის მოწინავეობა გადაუწყვეტია და უმაღლეს ლიგას უმიზნებს. შედეგიც არ აზანებს.

თანაბარ ბრძოლაში მატჩის ბედი დამრტყმელის სიზუსტემ გადაწყვიტა. „ყოჩების" ორ ლელოს დინამოელმა ლევიკო ჯაშმა 6 საჯარიმოთი უპასუხა და თავის გუნდს მორიგი ქულები მიუთვალა.

**ბაჩო სვანიძე**



ლადო ავლოხაშვილმა „ყოჩებს" ვერ უშველა

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 4 |
| ყოჩები | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| შევარდენი | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| აია | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |
| უნივერსიტეტი | 3 | 0 | 0 | 2 | -2 |

*უნივერსიტეტს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ირაკლი ფირაშვილს ბებიის გენრიეტა პრაღაშვილის გარდაცვალების გამო**

# კორტის ტორტი



თბილისში გასრულდა ღია პირველობა ჩოგბურთში ქალთა შორის. გამარჯვებული შეიქნა იუგოსლავიელი კატარინა დაშკოვიჩი, რომელსაც ერგო კიდეც უშველებელი ტორტის პირველი ნაჭერიც. ტორტი იმხელა იყო, რომ გულნაკლული არავინ დარჩენილა, ზედ შოკოლადის ჩოგანი ედო და საერთოდაც ნუგბარი რამ გახლდათ. ტურნირის სულისჩამდგმელი და ჩვენი ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლეილა მესხი თავადვე მასპინძლობდა მონაწილეებსა და სტუმრებს.



# რა დროს გაუფუჭდა

ვუელტას ველოტური გრძელდება. ეს ამბავი კი მეთხუთმეტე ეტაპზე იყო. ანგლირუს მთაზე ველოსიპედი წაუხდა იტალიელ დავიდე ბრამანტის და იმ წვიმასა და ნისლში დახმარება უსაფრთხოების თანამშრომელს სთხოვა. სამწუხარო ის არის, რომ ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ფინიშამდე ერთი კილომეტრიღა რჩებოდა. ვუელტას კი ესპანელი რობერტო ერასი ლიდერობს.



# კოცნები ბიჭებს

საყვარელი ქალები ეხვევიან ბრიტანელ ნიჩბოსნებს ჯეიმს კრაკნელსა (ჩვენსკენ) და მეტიუ პინსენტს, რომლებმაც ეს წუთია მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატის გაცურვა სევილიაში, გვადალკვივირის წყალში. სიყვარულსა და სიხარულს რომელი ღობე დააკავებს.





# ტორპი ჩინეთში

ყველაფრის ჩემპიონი ცურვაში, ავსტრალიელი იან ტორპი პირველადაა ჩინეთში და პეკინის ყველაზე განთქმულ საცურაო სკოლასაც სწვევია. რუ ჟიუანის სკოლაში მსოფლიო რეკორდსმენს გახარებული ბავშვები დაუხვდნენ.

# დალოცეს

ეს კორეელი სასულიერო პირნი ლოცავენ აზიის სპორტულ თამაშებს, ქალაქი პუსანი რომ მასპინძლობს. მეთოთხმეტე აზიური თამაშები სულ ხუთ დღეს გაგრძელდება.




სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge